ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 16 აგვისტო, 2018 №193 (7738) ფასი: 60 თეთრი

„კობაური ამტკიცებს, რომ ვაჟიშვილია და სექსუალური ურთიერთობა არასოდეს ჰქონია“

გვ.7

„ჟურნალისტებმა ტვინი გაანძრიეთ!“

სალომე ზურაბიშვილი და ზაზა პაპუაშვილი მედიის წინააღმდეგ

გვ.3

„ლარის გაუფასურების გადაბრალება თურქულ კრიზისზე ძალიან დიდი სისულელეა“

გვ.4

ლადო სადღობელაშვილი: „ივანიშვილი რუსეთისკენ მიგვაქანებს“

გვ.2

ნუკრი ქანთარია: „ორ კვირაში გაიგებთ, ვის დავუჭერთ მხარს საპრეზიდენტო არჩევნებზე“

გვ.3

სამართალი

21 წლის ალეკო ჯაჭვლიანი 20 წლის გოგომ მოკლა

ტრაგედია გურამიშვილის გამზირზე

საფრანგეთში ქურდობის ბრალდებით საქართველოს მოქალაქე დააკავეს

გვ.7

„ბორჯომის“ ფეხბურთელი თედო კაკულია ავარიაში დაიღუპა

ეკონომიკა

გვ.5

აკაკი ცომაია: „ეროვნული ბანკი დუმს... მთავრობა ძველებურად ასტრალშია“

„თბილისში, დაახლოებით, 179 დაუსრულებელი მშენებლობაა“ — კალაძე დეველოპერებს აქტიურობისკენ მოუწოდებს

გვ.6

„ოპიკი“ ანაკლიის პორტის მშენებლობაში 100 მილიონ აშშ დოლარამდე ინვესტირებას განიხილავს

გვ.6

ISSN 1987-9385

8 იტალიელი პროკურორი: „გენუაში ხიდის ჩამონგრევა ადამიანური ფაქტორის გამო მოხდა“

4 „აშშ-ში კათოლიკე მღვდლებმა ათასზე მეტი ბავშვი გააუპატიურეს“

5 გახდებიან თუ არა საქართველო და უკრაინა გეოპოლიტიკური გარჩევების მძევლები?

8 ერდოღანი ამერიკული ელექტრონული ტექნიკის ბოიკოტისკენ მოუწოდებს

„ივანიშვილი რუსეთისკენ მიგვაქანებს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ ჩამოდის მერკელი საქართველოში, რა ნიშნით შეარჩია ივანიშვილმა მინისტრები, რატომ აგვიანებს აშშ ახალი ელჩის დანიშვნას, რატომ არ გაიშვა ირაკლი კობახიძის პროდასავლურობა? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ სამოქალაქო აქტივისტი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

ლადო სადღობელაშვილი:

– ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ გითხარით, რომ აშშ-ის ახალი ელჩის ჩამოსვლისთანავე საქართველო რუსულ ორბიტაზე დაიწყებს ტრიალს-თქო. ისიც გითხარით, მალე ნახავთ, რა პროდასავლურიც არის სინამდვილეში ირაკლი კობახიძე. ახლა სწორედ ეს ჟამი დგება.

– აშშ-ის ელჩი რომ არ ჩამოსულა?

– სამაგიეროდ, ფრაუ ანგელა მერკელი ჩამოდის და ეგ დაალაგებს დასალაგებელს. დაახლოებით ერთი თვის წინ, რუსეთის და აშშ-ის პრეზიდენტები ერთმანეთს ფინეთში შეხვდნენ. როდესაც რუსეთი და ამერიკა მსოფლიოს ინაწილებდნენ, მათი ლიდერები ნეიტრალურ ტერიტორიაზე ხვდებოდნენ. ფინეთი არის ქვეყანა, რომელიც არც ნატოშია და არც რუსეთთან არის ასოცირებული.

ამ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ რუსეთს დიდი ქვეყნების გაერთიანებაში დააბრუნებდნენ.

ფინეთში გამართული შეხვედრა იყო ისტორიული. აქ გადაწყდა, რომ მსოფლიო აღარ იქნება ერთპოლუსიანი. აქამდე ყველაფერს დასავლეთი წყვეტდა. ახლა აშშ-მ ცნო რუსეთის ძალა და მათ მსოფლიო გადაინაწილეს.

შეგნებულად დაასახელეს პარტიებმა რუსეთის მოყვარული პრეზიდენტობის კანდიდატები. არჩევნები ვინც არ უნდა მოიგოს, გამარჯვებული რუსეთის მოტრფიალე იქნება.

ტრამპთან შეხვედრის შემდეგ, პუტინი შეხვდა მაკრონს. რუსეთის პრეზიდენტმა ფრანგ კოლეგას ჟურნალისტების თანდასწრებით უთხრა, შენ ჩემგან თავდაცვა აღარ გჭირდება, აწი მე თვითონ დაგიცავო.

იმავე პერიოდში ტრამპი ხვდება მერკელს და პირდაპირ ეუბნება, თქვენ ვერასდროს ვერ იქნებით დამოუკიდებლები, რადგანაც გაზით რუსეთზე ხართ დამოკიდებულიო.

ამ დღეებში გერმანიის კანცლერი ხვდება პუტინს. მოსკოვიდან ის კავკასიაში მოემგზავრება და საქართველოსაც მოინახულებს.

ერევანს, ბაქოს და თბილისს მან ის სქემა უნდა გააცნოს, რაც ტრამპმა და პუტინმა შეიმუშავეს.

– რა სქემა შეიმუშავეს ასეთი, რომ მერკელს დასჭირდა მისი აქ ჩამოტანა?

– საჩვენო ნამდვილად არ არის ეს სქემა. პირდაპირ არ იძახიან, მაგრამ ვრცელდება ინფორმაცია, რომ მოსკოვმა და ვაშინგტონმა გავლენის სფეროები გადაინაწილეს და კავკასია რუსეთის ორბიტაზე იქნება.

– გინდათ თქვათ, რომ დასავლეთმა რუსეთს კავკასია დაუთმო?

– სამწუხაროდ, ასეთი მოცემულობაა. ამ გადანაწილებაზე მიუთითებს ისიც, რომ აშშ-ს საქართველოში აქამდე თავისი ელჩი არ გამოუგზავნია. ვაშინგტონი ელჩად ისეთ კადრს არჩევს, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან დააახლოებს.

– საქართველოს მთავრობას რუსეთთან აშშ-ის ელჩის დასაახლოებელი რა სჭირს? მინისტრების ნახევარი მოსკოვიდან არ ჩამოიყვანეს?

– აი, ეგ არის მთავარი, რომ რუსეთიდან ჩამოიყვანეს. ნელ-ნელა გვაპარებენ რუსეთს.

– ნელ-ნელა რატომ?

– აქამდე სულ იმაზე იკლავდნენ თავს, რომ პროდასავლურები იყვნენ. სხვა თუ არაფერი, ახლა უხერხულია რუსულ ორბიტაზე გადასვლა. საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლა ასე უცბად არ ხდება. ასეთ დროს საჭიროა გარდამავალი მთავრობა.

როგორი მთავრობა გვყავს დღეს ჩვენ? ისეთი მთავრობა გვყავს, რომელსაც ამერიკა ახლოს არ იკარებს. ამდენი ხანია, ტრამპი პრეზიდენტია და „ოცნებას“ მის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციაც კი არ ჰქონია.

– კომუნიკაცია როგორ არ ჰქონიათ? ექსპრემიერი ხომ შეხვდა ტრამპს?

– რაც მაგათ შორის მოხდა, თქვენ მაგას ეძახით შეხვედრას? არ ყოფილა ეგ შეხვედრა.

– აბა რა იყო?

– რამდენიმე წამით შეუშვეს კვირიკაშვილი ტრამპის კაბინეტში სურათის გადასაღებად.

– ტრამპთან ფოტოს გადაღებასაც მოხერხება უნდა.

– რიგითი მოქალაქე თუ ხარ, მოხერხება უნდა, მაგრამ როცა ხელისუფლებას წარმოადგენ, იქ ცოტა მეტი მუშაობაა საჭირო. მიხეილ სააკაშვილის მომხრეობას ვერავინ დამწამებს, მაგრამ მას ამერიკასთან დალაგებული ჰქონდა ურთიერთობა. გადასარევი ურთიერთობა ჰქონდა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან. თბილისშიც კი ჩამოიყვანა იმხელა პრეზიდენტი.

– მოსკოვში იყო და ბარემ აქაც ჩამოვიდა.

– არაა ეგრე მარტივი აშშ-ის პრეზიდენტის ჩამოყვანა. სააკაშვილის დროს აქ ჩამოდიოდა კონდოლიზა რაისი. ჩამოვიდა ჰილარი კლინტონი. „ოცნების“ მოსვლის შემდეგ რომელი ამერიკელი ჩინოსანი ჩამოვიდა? აშშ ამათ ახლოსაც კი არ იკარებს.

– აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი მაიკლ პენსი არ ითვლება მაღალჩინოსნად? ეგ ხომ ჩამოვიდა შარშან?

– ჩამოვიდა, მაგრამ ეგ დაუგეგმავი ვიზიტი იყო.

– დაუგეგმავი ვიზიტი ვიზიტად არ ითვლება?

– ითვლება, მაგრამ მაშინ ტრამპსა და პუტინს რაღაცები „გაიასნებული“ არ ჰქონდათ. ახლა ყველაფერი მოგვარებულია. ერთი პერიოდი მთელ მსოფლიოში დენთის სუნი ტრიალებდა, ახლა მსოფლიო დაწყნარებულია.

– მსოფლიოს დაწყნარება რაში გამოიხატება?

– ჩრდილოეთ კორეის პრობლემა თითქმის მოგვარებულია. აღარც სირიაში მიმდინარეობს სამარი მოქმედებები. თითქმის განადგურებულია ისლამური სახელმწიფო.

რაღაც უჩინარი ხაზებია გავლებული და მსოფლიოს ერთ ნაწილს აშშ აკონტროლებს, მეორეს – რუსეთი. ყველაზე ცუდ მდგომარეობაში ახლა დიდი ბრიტანეთია.

– რატომ არის დიდი ბრიტანეთი ცუდ მდგომარეობაში?

– მან, როგორც წამყვანმა სახელმწიფომ, ფუნქცია დაკარგა. ამიტომაც არიან გაგიჟებულები და გადარეულები.

ლადო სადღობელაშვილი: „პარტიებმა პრეზიდენტობის კანდიდატები პრორუსულობის ნიშნით შეარჩიეს“

„მერკელს თბილისში პუტინის და ტრამპის სქემა ჩამოაქვს“

დიდი ბრიტანეთისა არ იყოს, ცუდ დღეშია საქართველო და აზერბაიჯანი. რუსეთი ვერაფრით ვერ ინელებს ამ ორი ქვეყნის დაკარგვას. აქტიურად ვეცნობი დასავლურ და რუსულ პრესას და მინდა გითხრათ, რომ ჩვენთვის ძალიან ცუდი ჟამი დგება – საქართველო არაფორმალური საბჭოთა კავშირის საზღვრებში მოექცევა.

– ხალხი ამას დაუშვებს?

– ხალხზე ბევრი არაფერი იქნება დამოკიდებული. შემთხვევით არ ვახსენე გარდამავალი მთავრობა. ეს გარდამავალი მთავრობა საზოგადოებას ნელ-ნელა შეაჩვევს იმას, რომ საგარეო კურსი იცვლება. მომდევნო მთავრობა თავიდან ბოლომდე პრორუსული იქნება.

– გამოდის, რომ ივანიშვილი რუსეთისკენ მიგვაქანებს.

– ეგრე გამოდის. ეგრე გამოდის კი არა, ეგრეა. 2012 წელს მას ჰკითხეს, საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს როგორ ხედავო, მაშინ მან ასე უპასუხა, ამაზე საუბარი ჯერ ადრეაო.

საქართველოშიც და რუსეთშიც აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ პუტინის და ივანიშვილის შეხვედრა იგეგმება. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მოგვიწოდებს, მოდით და დავილაპარაკოთო.

– რა ჯანდაბაზე უნდა ველაპარაკოთ? აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს არ თმობენ.

– მეც ზუსტად ეგრე ვფიქრობ, რომ თუ ამ რეგიონებს არ დათმობენ, რუსეთთან დიალოგს აზრი არ აქვს. ასე ფიქრობს საზოგადოების დიდი ნაწილიც.

– საზოგადოების დიდი ნაწილი თუ ასე ფიქრობს, ერთი მუჭა ქოცებმა როგორ უნდა შეგვაქანონ რუსეთში?

– ეს ის შემთხვევაა, როცა საზოგადოებას აზრს არავინ ეკითხება. მოცემულობა არის ასეთი – ჩვენ უნდა დავბრუნდეთ რუსულ ორბიტაზე. ამ მოცემულობას ჩვენ დასავლეთი გვთავაზობს.

ჩემი თუ არ გჯერათ, ჩამოვა მერკელი და ნახავთ, მისი წასვლის შემდეგ რა ნოტებზე იმღერებს საქართველოს ხელისუფლება.

– ცოტა ძნელი წარმოსადგენია, თამარ ჩუგოშვილმა და ირაკლი კობახიძემ რუსეთი შეაქონ. ეს წლები სულ მის ლანძღვაში არიან.

– ჩუგოშვილისგან უფრო გამიკვირდება რუსეთის ქება, ვიდრე ირაკლი კობახიძისგან. როცა ამ ყმაწვილის პროდასავლურობაზე საუბრობდნენ, სიცილით ვკვდებოდი.

– რა გაცინებდათ?

– ხომ არ გავიწყდებათ, ვისი შვილია ირაკლი კობახიძე. მამამისი ნინო ბურჯანაძის პარტიაში იყო. ბურჯანაძე კი რუსეთის მხარდამჭერია. დარწმუნებული ვარ, სპიკერი კობახიძეც იგივეს ფიქრობს რუსეთზე, რასაც მამამისი.

– რუსეთის სიყვარული მემკვიდრეობით კი არ გადადის მამიდან შვილზე.

– გადადის და თანაც როგორ. მოიცადეთ და ნახავთ მაგის პროდასავლურობას. არც ის დაგავიწყდეთ, გია კობახიძე ეროვნული ხელისუფლების დამხობას უჭერდა მხარს. ეროვნული ხელისუფლება კი რუსეთმა დაამხო.

– თავის დროზე ეროვნული ხელისუფლების დამხობას მხარი სალომე ზურაბიშვილმაც დაუჭირა, რომელსაც „ოცნება“ ახლა მხარს უჭერს.

– არც ისაა შემთხვევითი, რომ „ოცნება“ სალომე ზურაბიშვილს უჭერს მხარს. ამ ადამიანს ისიც აქვს ნათქვამი, ლავროვი ჩემი იდეალიაო.

– გინდათ თქვათ, რომ ეს ქალი რუსეთისადმი სიყვარულის გამო შეარჩია „ოცნებამ“?

– ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის. პრეზიდენტობის ყველა კანდიდატს რუსეთთან რაღაც ბმა და სიმპათიები აქვს.

დავით უსუფაშვილის პრორუსულობის არ გჯერათ, მაგრამ ეგ ნინო ბურჯანაძეზე უფრო პრორუსულია. ნინო ამას აღიარებს, უსუფაშვილი კი ჩუმად ეტრფის მოსკოვს.

გრიგოლ ვაშაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა და აქ რამე კითხვა საჭირო აღარ არის.

შეგნებულად დაასახელეს პარტიებმა რუსეთის მოყვარული პრეზიდენტობის კანდიდატები. არჩევნები ვინც არ უნდა მოიგოს, გამარჯვებული რუსეთის მოტრფიალე იქნება.

– დავით ბაქრაძე ვერ იქნება რუსეთის მოტრფიალე.

– ერთი ირაკლი კობახიძეა პროდასავლური და მეორე ეგ. ბაქრაძე რუსეთის

ისეთი მთავრობა გვყავს, რომელსაც ამერიკა ახლოს არ იკარებს. ამდენი ხანია, ტრამპი პრეზიდენტია და „ოცნებას“ მის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციაც კი არ ჰქონია.

გოშია მოქკავშირის წევრი იყო. ყველა კანდიდატი არის პრორუსული. საქართველოს მომავალი მთავრობაც პრორუსული იქნება და ჩვენ მოსკოვის ორბიტაზე დავბრუნდებით.

– მთავრობა შეიძლება პრორუსული იყოს, მაგრამ ხალხი დაუშვებს რუსულ ორბიტაზე დაბრუნებას?

– როგორც უკვე გითხარით, მოცემულობაა ასეთი. ხალხი ამას კმაყოფილებით არ შეხვდება, მაგრამ ვერაფერს გააწყობს – ასე მსოფლიომ გადაწყვიტა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ნუკრი ქანთარია: „ორ კვირაში გაიგებთ, ვის დავუჭერთ მხარს საპრეზიდენტო არჩევნებზე“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტის დეპუტატი ნუკრი ქანთარია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით პარტიის გადაწყვეტილებაზე საუბრობს.

– ბატონო ნუკრი, „ქართულმა ოცნებამ“ საბოლოოდ თუ მიიღო გადაწყვეტილება საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით?

– უკვე გადაწყვეტილია, რომ ჩვენ ამ საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატს არ დავაყენებთ, ეს გადაწყვეტილება ერთიანად მივიღეთ. ვის დავუჭერთ მხარს, რომელ დამოუკიდებელ კანდიდატს, ეს ამ ორ კვირაში გადაწყდება. ჩემი პოზიციაა, რომ რომელიმე კანდიდატს მხარი აუცილებლად უნდა დავუჭიროთ. მმართველი პარტია მთლად შორიდან მაყურებელი გახდეს, სწორი არ იქნება.

– სალომე ზურაბიშვილთან დაკავშირებით როგორია გუნდში პოზიციები მას შემდეგ, რაც მან ომზე განცხადებები გააკეთა?

– მისი ეს განცხადება კარგად ვერ იყო აღქმული. ბუნებრივია, რომ ჩვენ ჩვენს ტერიტორიაზე ომს ვერ დავიწყებდით. რასაკვირველია, რუსეთი შემოიჭრა ჩვენს ტერიტორიაზე, მაგრამ ამ პროვოკაციის თავიდან აცილება შეიძლებოდა, ამაშია საქმე. რუსეთი დიდი ხანი ემზადებოდა ამ ომისთვის და საბაბს ეძებდა, მაგრამ ჩვენ შეგვეძლო ეს ომი აგვეცილებინა და არანაირი საბაბი არ მიგვეცა. რაც შეეხება იმას, რომ რუსეთს ჩვენ დავუწყეთ ომი, ეს ყოველგვარ გონივრულ საზღვრებს ცდება. ეს ყველაფერი კარგად გვახსოვს, ეს ომი ჩვენ გადავიტანეთ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე ხომ არ მომხდარა?!

– თუმცა, პრეზიდენტობის კანდიდატის ყველა პოზიცია ამომრჩეველისთვის ცნობილი უნდა იყოს.

– გასაგებია, მაგრამ პრეზიდენტის უფლებამოსილებებიც ყველასთვის ცნობილია. მაქსიმალურად შეზღუდულია და სიმბოლურ ხასიათს ატარებს. სიმართლე გითხრათ, ძალიან მიჭირს, წინასაარჩევნო კამპანია წარმოვიდგინო. რასაც სჩადიან ოპოზიციონერი კანდიდატები, არ ვიცი, ამას რა დავარქვა.

– ამომრჩეველს ატყუებენ?

– რა თქმა უნდა, ატყუებენ, აბა ადამიანები თავიანთ გასაჭირზე ჩივიან, სოციალურ სიდუხჭირეზე და ვაშაძე და ესენი ჰპირდებიან, დაგეხმარებითო, ეს რა არის?! მითხარით, პრეზიდენტმა აბა გზა როგორ უნდა გაიყვანოს სოფელში თუ ქალაქში?!

კამპანია სრულად რომ შევა ძალაში, თქვენ ნახავთ, როგორი აბსურდული დაპირებები იქნება კანდიდატების მხრიდან. მერწმუნეთ, ეს დაპირებები ნებისმიერ კანდიდატს ჩიხში შეიყვანს. ხალხს გზა, ხიდი, წყალი, გაზი, სოციალური ფონი აღელვებს და ეს ჩივილი აქვს, ამ დროს პრეზიდენტი ვერც ერთ ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს. ქვეყნის გარეთ ის არის სახე, შიგნით კი – არბიტრი და სათადარიგო ფიგურა კრიზისის შემთხვევაში.

მე ვფიქრობ, რომ თქვენ, ჟურნალისტებმა უნდა გააგებინოთ ხალხს, თუ რა შეუძლია ამ პრეზიდენტს, რომ ხალხი არავინ შეცდომაში არ შეიყვანოს! ამ შემთხვევაში თუ რა უფლებამოსილების პრეზიდენტს ირჩევენ, ძალიან მნიშვნელოვანი მგონია.

– ბატონო ნუკრი, დეპუტატ კახა ოქრიაშვილს არ ჰგონია, რომ „ოცნებამ“ დავით უსუფაშვილს მხარი დაუჭიროს, რამდენჯერ უნდა დაქორწინდნენ და გაიყარონო. თქვენც გამორიცხავთ, რომ უსუფაშვილის მხარდაჭერის საკითხი დადგეს პარტიაში?

– კონკრეტულად თუ ვის, რომელ კანდიდატს დავუჭერთ მხარს, ჯერ არ არის გადაწყვეტილი. ჩვენ ვთქვით, რომ რომელიმე დამოუკიდებელ კანდიდატს აუცილებლად დავუჭერთ მხარს. ჯერ პერსონებზე ვერაფერს ვერ გეტყვით. ეს ორ კვირაში გამოჩნდება და ყველა ერთად გავიგებთ.

– ორ კვირაში?

– შეხვედრა იქნება და ეს საკითხი აუცილებლად გადაწყდება.

– რაც შეეხება სასახლეს, ირაკლი კობახიძის განცხადებით, პრეზიდენტს მისი მოცულობა უფლებამოსილებებთან დაკავშირებით ილუზიას შეუქმნის, რაზეც უსუფაშვილმა თქვა, მაშინ პარლამენტის თავმჯდომარე სარდაფის მინუს მესამე სართულზე ჩავიდესო. სასახლის საკითხზე თუ იყო გუნდში საუბარი?

– ეს არის გადაძახილ-გადმოძახილი. ჭკვიან ადამიანს არ მგონია, ფართობი რამე ილუზიას უქმნიდეს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ჩვენი ქვეყნისთვის, პრეზიდენტის უფლებამოსილებებისთვის მისაღები უფრო ათონელის ქუჩაზე მდებარე ორბელიანების სასახლეა. მარგველაშვილიც სწორედ ამ პირობით იყო, მეც კარგად მახსოვს და სხვებსაც, რომ ავლაბრის რეზიდენციაში ის არ შედიოდა.

ჩემი აზრია, რომ ავლაბრის რეზიდენციას სხვა ფუნქცია უნდა მოეძებნოს. ორბელიანების სასახლე ბევრად უფრო სადაა, ისეთი, როგორიც ჩვენი ქვეყანაა.

– სალომე ზურაბიშვილს ექნება მმართველი პარტიის მხარდაჭერა?

– გამოჩნდება. მთაწმინდაზე ჩვენ სალომე ზურაბიშვილისთვის მეტოქე არ დაგვიყენებია და ასე დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით შემოვიდა პარლამენტში. ვნახოთ, წინასწარ ჩემგან ბეჭდის დასმა რთულია.

– ქალი პრეზიდენტი თქვენთვის მისაღებია?

– სალომეს ბიოგრაფია, მისი თავგადასავალი უინტერესო ნამდვილად არ არის. მას აქვს თავისი ხასიათი, თავისებურებები, ვნახოთ, როგორ წაიყვანს წინასაარჩევნო კამპანიას, რაც კიდევ უფრო გამოჩნდება ამ ორ კვირაში. ალბათ აქედან გამომდინარე მიიღება გადაწყვეტილება. ისე, სულ რომ არავის მხარი არ დავუჭიროთ, ეს სწორი არ იქნება.

– თქვენი ამომრჩეველი დაიბნევა?

– ერთი, ბუნებრივია, ამომრჩეველი დაიბნევა და მეორე, ერთგვარ ჭორს მიეცემა საფუძველი.

– ხელისუფლების გადაბარებასთან დაკავშირებით?

– არა, გადაბარებასთან დაკავშირებით არა, მაგრამ ძალიან ბევრ ჭორს ექნება საფუძველი, რაც არ უნდა მოხდეს. თითქოს, ჩვენ ჩუმად ვართ და ვიღაცას ვაძლევთ კარტ-ბლანშს, მოგების საშუალებას – ეს არ უნდა დავუშვათ. მით უფრო არანაირი გაფიქრებაც კი არ უნდა მოხდეს ხალხის მიერ, რომ ესენი არიან ან ნაცები ან მათი განაყოფი „ევროპული საქართველო“.

„ჟურნალისტებმა ტვინი გაანძრიეთ!“

შორენა მარსაგიშვილი

საოცნებო პარლამენტი, სადაც პირველი განსახილველი საკითხი ბუსუსებიანი პრეზერვატივები იყო, იბიარდი კი ბორდელი ეგონათ, ჟურნალისტების ტვინის მუშაობით არის აღშფოთებული.

მედიაზე მზე და მთვარე არც სხვა დეპუტატებს ამოსდის, მაგრამ სალომე ზურაბიშვილმა და ზაზა პაპუაშვილმა სულ თავი გაიგიჟეს. მათ ჟურნალისტებს ტვინის განძრევა მოსთხოვეს.

თავდაპირველად ეს მოთხოვნა „ოცნების“ ნებიერა დამოუკიდებელმა დეპუტატმა სალომე ზურაბიშვილმა წამოაყენა.

მოგეხსენებათ, რომ ის პრეზიდენტობისთვის აპირებს ბრძოლას. ბრძოლის გარიჟრაჟზე მან პირობა დადო, არჩევნებს თუ მოვიგებ, ავლაბრის პრეზიდენტის რეზიდენციაში ფეხის შემდგმელი არა ვარო.

სალომე ზურაბიშვილი და ზაზა პაპუაშვილი მედიის წინააღმდეგ

აღსანიშნავია, რომ თავიდან გიორგი მარგველაშვილიც ასე იძახდა. სააკაშვილის მიერ რუდუნებით აშენებულ სარაიას (სპარსელები ასე ეძახიან სასახლეს) სულ გარყვნილების ბუდე ეძახა და საჯაროდ დადო პირობა, იქ ფეხის შემდგმელი არა ვარო.

ფეხის შედგმის შემდეგ კი ისე მოეწონა იქაურობა, მეხუთე წელია, იქედან ვერ გამოჰყავთ.

არ არის გამორიცხული, მარგველაშვილის სინდრომი სალომე ზურაბიშვილსაც დაემართოს და მიშას სარაიაში გამაგრდეს. ეს გონივრული ეჭვი მედიასაც გაუჩნდა და პრეზიდენტობის კანდიდატთან სცადა ჩაზუსტება.

– ჟურნალისტებმა ცოტა ტვინი გაანძრიეთ. მე ვთქვი, რომ ჩემთვის სრულიად შესატყვისია იმ ახალი პრეზიდენტისთვის, ქალი პრეზიდენტისთვის ორბელიანების სასახლე, რომელსაც აქვს სხვა დატვირთვა ჩემთვის პირადად. მე ძალიან კომფორტაბელურად ვგრძნობ თავს ასეთი ტიპის სასახლეში და მეორე, ისიც ვთქვი, რომ ჩემს სახლში ვიცხოვრებ, ჩემი სახლიდან ფეხით ვივლი და ესეც ახალი ფორმაა პრეზიდენტობის. მზად ვარ, ყველაფერი გავიმეორო, მაგრამ ნათქვამი რომ მაქვს, ისიც მართალია, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ნიუპოსტის ცნობით კი 2014 წელს ფეისბუკზე გამოქვეყნებულ სტატუსში სალომე ზურაბიშვილი „ოცნების“ ხელისუფლების მხრიდან საპრეზიდენტო სასახლის შესაძლო გაუქმებას ეხმაურებოდა და ფაქტს ,,ანტისახელმწიფოებრივს“ და ,,ქვეყნის დაქვეითების სიმბოლოდ“ მიიჩნევდა:

– მაგრამ რომელ ქვეყანას აქვს იმის ფუფუნება რომ ნახევარ მილიარდიანი სასახლე მიაგდოს და არ გამოიყენოს ? ეს რა არის რაღაც მდაბიო რევანშიზმის გამოვლინება? „რადგანც სააკაშვილის უაზროდ აშენებულია ამიტომ არ უნდა ვიხმაროთ“!... სახელმწიფოებრივ კუთხით თუ შევხედავთ, საპრეზიდენტო სასახლის გაუქმება გვინდა არ გვინდა რაღაც ანტი სახელმწიფო ნიშანს ატარებს, ქვეყნის დაქვეითების სიმბოლოა... ჩამქრალი და უხმარი სასახლე უარყოფითი ნიშანიცაა... ამიტომ არსებობს და გამოვიყენოთ. – წერდა სალომე ზურაბიშვილი.

ასე რომ, ჟურნალისტების ჩაზუსტებას ნამდვილად ჰქონდა საფუძველი და ზურაბიშვილისგან ამ თავაზიანობის გამოვლენას მედიის მხრიდან დიდი აღშფოთება მოჰყვა. სოციალურ ქსელებშიც დიდი წიოკი ატყდა. არადა მისგან ასეთი შეფასება გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო. ცოტა ხნის წინ მან ექსპერტებს სულ ანალისტები ეძახა და ამის მთქმელს არც მედიისთვის გაუჭირდებოდა იმის თქმა, ტვინი გაანძრიეთო.

საყოველთაო გნიასმა, ეტყობა, მაინც შეაწუხა ზურაბიშვილი. მან მოიბოდიშა და ჩააკონკრეტა, რომ ტვინის განძრევასთან დაკავშირებით იხუმრა.

მისმა ვითომ ხუმრობამ ალბათ ბევრ დეპუტატს მოფხანა გული, მაგრამ ხმამაღლა ამის თქმას ვინ გაბედავდა. მედია მაშინვე გამოფენდა მათი ტვინის ნაჟურს.

აღმოჩნდა, რომ „ოცნების“ საპარლამენტო გუნდში ყველა ჯაბანი არ არის. მედიისგან იავარქმნილი ზურაბიშვილის დასაცავად ხმალი ზაზა პაპუაშვილმა იშიშვლა.

– რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილის განცხადებას ჟურნალისტებთან მიმართებაში, გასაკვირს ვერაფერს ვხედავ, ჟურნალისტებმა ტვინი რომ გაანძრიონ, რა მოხდება?! რა არის ამაში შეურაცხმყოფელი და არაკორექტული? რომელია უფრო არაკორექტული, როდესაც ჟურნალისტების მნიშვნელოვანი ნაწილი საზოგადოებას ატყუებს და ნერვებს გვიშლიან, თუ სალომე ზურაბიშვილის ეს ნათქვამი?!

ჩემი დამოკიდებულება ჟურნალისტებთან მიმართებაში ცნობილია, არასდროს დამიმალავს ჟურნალისტების მიმართ ჩემი შენიშვნები. ადამიანები, რომლებიც ტყუიან და არასწორ ინფორმაციას ავრცელებენ... რა თქმა უნდა, ყველას არა, მაგრამ მნიშვნელოვან ნაწილს ხომ ეკუთვნის ეს შენიშვნა? ის უბედურება, რომელიც საქართველოში დატრიალდა, ამაში ლომის წვლილი ჟურნალისტების დევს. თუ ტვინს გაანძრევენ, მათთვის სასიკეთო იქნება. სალომე ზურაბიშვილის გამონათქვამში ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ, – განაცხადა აიპრესთან საუბარში მედიის მიერ ნერვებდაშანთულმა ზაზა პაპუაშვილმა.

„ლარის გაუფასურების გადაბრალება თურქულ კრიზისზე ძალიან დიდი სისულელეა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ პროცესებთან დაკავშირებით, ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში დემურ გიორხელიძე და ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პასუხობენ.

– ბატონო დემურ, ლარი გაუფასურებას განაგრძობს. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ეს არჩევნების მოახლოებას უკავშირდება, ხელისუფლება კი ლარის გაუფასურებას თურქული ლირის გაუფასურებას უკავშირებს. რას იტყვით თქვენ?

– ეროვნული ბანკის ფულადსაკრედიტო პოლიტიკა და მთლიანობაში სიტუაცია ისეთია, რომ ლარის ხელოვნურ თამაშს წინ არაფერი უდგას. რამდენად ფიგურირებს ამაში დღევანდელი პოლიტიკური სიტუაცია, ვერ გეტყვით, მაგრამ ფუნდამენტალური პრობლემები რომ არსებობს და არასწორი პოლიტიკა, ეს ცხადია. ფული იმდენად ცოტაა, რომ ნებისმიერი რხევა იწვევს მის გაუფასურებას, ან დროებით გამყარებას. აქ არაფერი ახალი არ არის. ამ ყველაფრის საფასურს ჯიბიდან იხდიან ჩვენი მოქალაქეები და ბიზნესი. ვიწრო ჯგუფებს ამაზე სერიოზული ფულის კეთების საშუალება აქვს.

– ვიწრო ჯგუფები ახსენეთ და თქვენ რამდენად ხედავთ პოლიტიკურ ნიშნებს ამ პროცესში?

– კონკრეტულ პოლიტიკურ პროცესს ვერ დავუკავშირებ. ამ ცოტა ხნის წინ, როდესაც ლარი მყარდებოდა, მე მაშინაც ვთქვი, რომ ეს ძალიან დროებითია და სულ მალე ისევ დაიწყება გაუფასურება. ეს უბრალოდ პერიოდულად ხდება და არ არის გამორიცხული, რომ არა მხოლოდ პოლიტიკასთან იყოს ეს კავშირში, არამედ იმ ჯგუფების ინტერესებთან, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ იმაზე, რომ ჰქონდეთ ინსაიდერული ინფორმაცია და შეეძლოთ ხელოვნურად, საჭიროების მიხედვით, ათამაშონ ლარის კურსი.

ამ ცოტა ხნის წინ, როდესაც ლარი მყარდებოდა, მე მაშინაც ვთქვი, რომ ეს ძალიან დროებითია და სულ მალე ისევ დაიწყება გაუფასურება. ეს უბრალოდ პერიოდულად ხდება და არ არის გამორიცხული, რომ არა მხოლოდ პოლიტიკასთან იყოს ეს კავშირში, არამედ იმ ჯგუფების ინტერესებთან, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ იმაზე, რომ ჰქონდეთ ინსაიდერული ინფორმაცია და შეეძლოთ ხელოვნურად, საჭიროების მიხედვით, ათამაშონ ლარის კურსი.

– ანუ ეკონომიური პროცესები არაფერ შუაშია?

– აქ არანაირ ეკონომიკურ პროცესებს, ანდა სხვა რაიმე მოვლენებს არა აქვს მნიშვნელობა. დააკვირდით თუ გნებავთ სხვა რამეს...

– კერძოდ, რას?

– სტაბილურია საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის ფასი, მეტ-ნაკლებად, თითქმის უმნიშვნელოდ ირხევა და ამ დროს საქართველოში არანორმალურად იზრდება საწვავზე ფასი.

– რატომ გაიზარდა ასე საგრძნობლად საწვავზე ფასი?

– ეს არის მხოლოდ იმიტომ, რომ ეს არის ოლიგოპოლიური ბაზარი და მათ სერიოზული მხარდაჭერა აქვთ. არანაირი რეგულაციური, საღი, ჯანსაღი მიდგომები, რაც ყველა ქვეყანაშია, აქ არ მუშაობს და ჩვენ მივიღეთ ის, რომ ამერიკაში უფრო იაფია საწვავი, ვიდრე საქართველოში.

– ჩვენთან ყველაფერს ლარის გაუფასურებას უკავშირებენ.

– ლარი აქ არაფერ შუაშია. ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც არანაირი საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულაციის ინსტიტუტები და მექანიზმები არ არსებობს, ეს ყველაფერი არის ხელოვნური!

– რამდენ ხანს გაგრძელდება ლარის გაუფასურების პროცესი?

– ეს პროცესი გაგრძელდება, სანამ პოლიტიკა არ შეიცვლება. ამ გაუფასურების შემდეგ, ცოტა ხანში დაიწყება ლარის გამყარება და ჩვენ მივიღებთ იგივე პროცესს.

– თუმცა გაძვირებული ფასები დაბლა არ დაიწევს.

– დიახ, გაძვირებული ფასები უკან არ წამოვა, პირიქით, მცოცავი ზრდა იქნება.

– ამ ფონზე რამდენად სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება ჩვენი მოსახლეობა?

– ჩვენი მოსახლეობა უკვე დიდი ხანია სერიოზული პრობლემის წინაშეა, მაგრამ საკუთარი მომავლისადმი უპასუხისმგებლობის გამო, იგი ამ პროცესებს ზერელედ უყურებს. ასე რომ, ამ ფონზე მისი გაღარიბება გაგრძელდება.

– ასევე მოვისმინეთ შეფასებები, რომ ლარის გაუფასურება თურქული ლირის გაუფასურებას უკავშირდება. ეს რამდენად მყარი არგუმენტია?

– ეს სისულელეა. არანაირი სანქციები ამერიკელებს საქართველოს მიმართ არ დაუწესებიათ, ამიტომ არანაირი კავშირი ამასთან არ უნდა იყოს. მართალია, ჩვენ იმპორტი ბევრი გვაქვს თურქეთიდან, თუმცა აქ ეს ლოგიკა უცხოა. თუ გაუფასურდა, ჩვენ დოლარებს ვახურდავებთ ლირებში და ისე ვყიდულობთ, ამიტომ უფრო იაფი უნდა ყოფილიყო იმპორტი. ამიტომ არანაირი კავშირი ამათ შორის არ არსებობს. ეს არის შეფასებები, რომლებიც რეალობასთან ახლოსაც კი არ არის!

– ბოლო პროცესებთან დაკავშირებით რამდენად იკვეთება ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი?

– ეროვნული ბანკი არის ნაწილი ამ პოლიტიკისა. ამიტომ არასწორი რეგულაციები, არასწორი პოლიტიკა, მთლიანობაში აძლევს საშუალებას ეროვნულ ბანკს აკეთოს ის, რასაც აკეთებს. არ არსებობს ერთიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რომლის ჩარჩოებშიც იმოქმედებდა ეროვნული ბანკი. პარლამენტი ამას არ ამტკიცებს და ამდენად, ჩვენ ვიღებთ ასეთ გაუგებარ სიტუაციას.

– როდესაც ასეთი გაგანია ტურისტული სეზონია, ლარი რატომ უნდა გაუფასურებულიყო?

– ლარის გაუფასურება არის პერიოდული, ამიტომ ამას რაღაც მოვლენა, იგივე პოლიტიკური სიტუაცია შეიძლება დაემთხვეს. ლარი სტაბილური პერიოდულობით ადის და ჩამოდის მაღლა-დაბლა და თანაც ძალიან დიდი ამპლიტუდით! ასე რომ ხდებოდეს რომელიმე დიდ განვითარებულ ეკონომიკურ ქვეყანაში, ის ეკონომიკა დაინგრეოდა. ჩვენი ეკონომიკა არ ინგრევა, იმიტომ, რომ ის ისედაც დანგრეულია.

– ანუ საპრეზიდენტო არჩევნებს ამ ლარის გაუფასურების პერიოდთან კავშირი არ აქვს?

– არა, აქ უფრო რთულად არის საქმე.

– გამოსავალს რაში ხედავთ?

– გამოსავალი ძალიან მარტივია. იმისთვის, რომ ქვეყანა ვითარდებოდეს, მას სჭირდება შესაბამისი არა მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკა, არამედ მთლიანად საშინაო პოლიტიკა. მე არაერთხელ მითქვამს, რომ საქართველოში არაფერი კეთდება იმის მსგავსიც კი, რამაც გაამდიდრა ქვეყნები და განავითარა. პირიქით, ჩვენ გამოკიდებული ვართ რაღაცა იდეაფიქსებს და შედეგიც არა გვაქვს!

– როდესაც ბიძინა ივანიშვილი გამოვიდა და ბანკებს შეუტია, იყო მოლოდინი, რომ რაღაც სასიკეთოდ შეიცვლებოდა, თუმცა გაუარესებული სიტუაცია მივიღეთ.

– ეს განცხადებები ხელისუფლების მხრიდან არაფერს იძლევა. იმაზე, რომ ბანკები არის მახინჯი სისტემა, აწყობილი ხელისუფლების ხელშეწყობით, დიდი ხანია, მივუთითებ. შედეგებიც სახეზეა. ხელისუფლება ნაწილია ამ სისტემისა. საბანკო სისტემაც ნაწილია ამ მახინჯი სისტემისა და ამიტომ მიდის ის პროცესი, რასაც ხალხის გაღარიბება ჰქვია.

ხალხი გარბის თავის გადასარჩენად ქვეყნიდან. ამ პრემიერმა ფინანსთა მინისტრობის დროს გააკეთა რაღაც კარგი განცხადება ბანკებთან დაკავშირებით, ახლა ბატონმა ბიძინამ

სტაბილურია საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის ფასი, მეტ-ნაკლებად, თითქმის უმნიშვნელოდ ირხევა და ამ დროს საქართველოში არანორმალურად იზრდება საწვავზე ფასი.

გააკეთა, მაგრამ პოლიტიკა არ იცვლება! სისტემა არ იცვლება! თუ არ იქნა მცდელობა ამ სისტემის დანგრევისა, ჩვენ მუდმივად ვიქნებით ამ ჩაკეტილ წრეში და ეს პროცესები გაგრძელდება!

❖ ❖ ❖

ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე, რომან გოცირიძე, არგუმენტს, რომ ლარის გაუფასურება თურქული ლირის გაუფასურებამ გამოიწვია, ასე ეხმაურება:

– ვისაც ჰგონია, რომ ლარი გააუფასურა თურქული ლირის გაუფასურებამ, ახსნას, თუ როგორ მოხდა ეს რიცხვების მოშველიებით, ექსპორტ-იმპორტის, მომსახურების ბალანსის, კაპიტალის მოძრაობის და სხვა მაჩვენებლების ანალიზით. ერთი არგუმენტი მაინც თქვან, გარდა იმისა, რომ იქ მეხი ჩამოვარდა და აქ ექომ შეგვაშინა. რომ შეგვაშინა და ფსიქოლოგიურად არამდგრადები აღმოვჩნდით, რაში გამოიხატა ეს, რა ჩავიდინეთ, რამდენი დოლარით და რამდენი ლარით? მხოლოდ მოლოდინებით რთული პროცესების ახსნა არასერიოზულია. ველოდებით მთავრობისაგან და ეროვნული ბანკისგან თუნდაც ერთ დასაბუთებულ არგუმენტს.

– ბატონო რომან, თქვენ მიგაჩნიათ რომ თურქული ლირის გაუფასურებასთან ქართული ლარის გაუფასურებას კავშირი არ აქვს?

– არა. რა, გუშინ თურქული ლირა გაუფასურდა და დღეს დაიძრა მთელი საქართველო თურქეთში საყიდლებზე, გაიტანეს დოლარები და ლარი გაგვიუფასურეს? სისულელეა. სადაა თურქეთიდან იმპორტის მნიშვნელოვანი ზრდის სტატისტიკა? არ არსებობს ასეთი რამ. ლარის გაუფასურება დაემთხვა თურქული ვალუტის გაუფასურებას, მიზეზი კი მთავრობისა და ეროვნული ბანკის არასწორი პოლიტიკაა. ლარის გაუფასურების გადაბრალება თურქულ კრიზისზე არის ძალიან დიდი სისულელე.

– მაშინ რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ლირის და ლარის ამჟამინდელ გაუფასურებას ერთმანეთთან?

– მხოლოდ ფსიქოლოგიური, მოლოდინის ეფექტი. ეს გადაივლის, მაგრამ პოლიტიკა არ იცვლება! სისტემა არ იცვლება! თუ არ იქნა მცდელობა ამ სისტემის დანგრევისა, ჩვენ მუდმივად ვიქნებით ამ ჩაკეტილ წრეში და ეს პროცესები გაგრძელდება!

❖ ❖ ❖

ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე, რომან გოცირიძე, არგუმენტს, რომ ლარის გაუფასურება თურქული ლირის გაუფასურებამ გამოიწვია, ასე ეხმაურება:

გახდებიან თუ არა საქართველო და უკრაინა გეოპოლიტიკური გარჩევების მძევლები?

მარიამ მჭედლიშვილი

გერმანიის კანცლერი, საქართველოს გარდა, სომხეთსა და აზერბაიჯანსაც ეწვევა. 23 აგვისტოს ანგელა მერკელი თბილისში ჩამოვა, 24-ში ერევანში, 25-ში კი – ბაქოში.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, დავით ზალკალიანის შეფასებით, მოახლოებული ვიზიტი მნიშვნელოვანია საქართველოსთვის რეგიონში მიმდინარე პროცესებიდან და მის წინაშე მდგარი გამოწვევიდან გამომდინარე. ის ადასტურებს მხარდაჭერას საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ.

ანგელა მერკელის რეგიონული ტურნე ვერ მოიაზრება ევროკავშირსა და ნატოში სამი კავკასიური ქვეყნის ინტეგრაციის ერთიანი გეგმის კონტექსტში. საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთისაგან განსხვავებულ საგარეო პოლიტიკას ატარებენ და ევროკავშირთან და ნატოსთან ურთიერთობის სხვადასხვა დონეზე იმყოფებიან. მათი მიზნები განსხვავებულია.

საქართველოში საზოგადოების ნაწილს აშფოთებს ის, რომ გერმანიის ფედერალურმა კანცლერმა თბილისს კომპენსაციის სანაცვლოდ შესაძლოა შესთავაზოს იმ აზიელი და აფრიკელი ლტოლვილების ქვეყანაში განთავსება, რომლებიც ევროპას მიადგნენ. ამის დამადასტურებელი მონაცემები არ არსებობს. სირიელი დევნილების უმრავლესობის სამშობლოში დაბრუნების საკითხი გადაწყვეტილია. ევროკავშირსა და თურქეთს შორის არსებობს შეთანხმება ახლო აღმოსავლეთის ლტოლვილების თურქეთში შეკავების შესახებ. ბოლო დროს ევროპაში გაჩნდა არალეგალების პრობლემა ნიგერიიდან. ანგელა მერკელის წინადადებით, ეს საკითხი აფრიკის სახელმწიფოებთან თანამშრომლობით გადაწყდება. აფრიკაში უნდა დაბრუნდნენ ის ლტოლვილები, რომლებიც ევროპაში უკანონოდ მოხვდნენ.

კავკასიის ტურნემდე რამდენიმე დღით ადრე, 18 აგვისტოს, მერკელი პუტინს გერმანიაში ხვდება. გერმანიისა და რუსეთის ლიდერები ძირითადად სირიისა და უკრაინის პრობლემატიკაზე იმსჯელებენ. არაოფიციალური ცნობებით, პუტინი ეცდება, რომ გერმანიამ არ მიბაძოს აშშ-ს ანტირუსული სანქციების დაწესების საკითხში.

მერკელისა და პუტინის მომავალი სამიტი ნეგატიურად მიიღეს უკრაინაში. უკრაინელი ექსპერტების აზრით, უკრაინის პრობლემატიკის განხილვა უკრაინის ზურგს უკან არ შეიძლება. ისინი არ გამორიცხავენ, რომ უკრაინა გახდეს გეოპოლიტიკური გარჩევების მძევალი. დასავლეთის სახელმწიფოების რბილი პოზიცია პუტინს ჩაუსახავს იმედს, რომ იგი უკრაინაზე ვაშინგტონსაც გაურიგდება.

მათი სიტყვებით, აუცილებელია დასავლეთის რეაგირება რუსეთის ჯაჭვურ აგრესიაზე, რომელმაც მოიცვა საქართველო, დნესტრისპირეთი, ყირიმი, დონბასი და სირია. პუტინი ცდილობს, ამ საკითხებით ცალ-ცალკე ივაჭროს.

მერკელი-პუტინის დაუგეგმავ შეხვედრას ტრამპის არაპროგნოზირებად პოლიტიკას მიაწერენ ამერიკელი ანალიტიკოსები. მათი აზრით, ამერიკის მტრები და მოკავშირეები იცვლიან პოზიციებს აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის გაუგებარი ნაბიჯების საპასუხოდ.

ხორვატი მიმომხილველების აზრით, დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს ყველას ომი ყველას წინააღმდეგ. იშლება უსაფრთხოების ინსტრუმენტები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა. ახალი ინსტრუმენტები ჯერ არ შექმნილა. ამის გამო რისკები და კონფლიქტები პლანეტაზე დამოკიდებულია ორი-სამი ლიდერის სიბრძნესა და უგუნურობაზე.

ადრინდელმა გაერთიანებებმა და პარტნიორულმა კავშირებმა მნიშვნელობა დაკარგეს. მაღე ისინი ახალი კანონების მიხედვით განვითარდება.

აკაკი ცომაია: „ეროვნული ბანკი დუმს... მთავრობა ძველებურად ასტრალშია“

ეკონომისტი **აკაკი ცომაია** ლარის კურსის რყევებთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად დასმულ კითხვებს სოციალურ ქსელში პასუხობს.

– მსურს გამოვეხმაურო ზოგიერთ შეკითხვას, რომელსაც ხშირად მისვამენ ლარის კურსთან დაკავშირებით:

1. რა ხდება თურქეთსა და რუსეთში და რატომ უფასურდება ლარი ჩვენთან?

აშშ-ის სანქციებმა დააფრთხო ინვესტორები თურქეთსა და რუსეთში და დაიწყეს ლირისა და რუბლის მოშორება. ლირისა და რუბლის გაუფასურებამ შეაშინა ეკონომიკური აგენტები საქართველოში და დაიწყეს ლარის მოშორება. ფსიქოლოგიური ფაქტორია.

2. 2016 წლიდან აშშ-მ დაიწყო მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება და ამ ფაქტორს არ მოუხდენია დიდი გავლენა ლარის კურსზე, რატომ ახდენს თურქული ლირის და რუბლის მკვეთრი გაუფასურება ადამიანების ფსიქოლოგიაზე ასე საქართველოში?

ადამიანებში მოლოდინების ერთ-ერთი მთავარი მდგენელი არის წარსულში მომხდარი მოვლენები და ამ გზით შეძენილი გამოცდილება. თავად ის ფაქტი, რომ დოლარი მყარდება ევროს, იენის თუ ფუნტი სტერლინგის მიმართ, წარსული არაფერს კარნახობდა ადამიანებს საქართველოში იმის შესახებ, რომ ევროს, იენის თუ იუანის გაუფასურება ნიშნავდა ლარის გაუფასურებას. თუმცა, როდესაც უახლოეს წარსულში, ცნობილი მიზეზების გამო, მეზობელ ქვეყნებში ვალუტების გაუფასურებას მოყვა ლარის დრამატული ვარდნა, ქვეყნის საზოგადოების დიდ ნაწილში ჩამოყალიბდა განცდა, რომ ლირისა და რუბლის გაუფასურება ნიშნავს ლარის გაუფასურებას. სწორედ ეს არის ფსიქოლოგიური ფაქტორი.

3. უნდა გაუფასურდეს თუ არა ლარი, როდესაც თურქული ლირა და რუსული რუბლი უფასურდება?

თუ ქვეყანაში შემცირდება ექსპორტი, ფულადი გზავნილები, ინვესტიციები, ტურიზმი და ა.შ., რაც დოლარის შემოდინებას შეამცირებს, მაშინ კი. ხოლო თუ ფსიქოლოგიურ ფაქტორს გამოვრიცხავთ, მაშინ კურსმა ვარდნა უნდა დაიწყოს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დოლარის დეფიციტი გაჩნდება ზემოაღნიშნული მიზეზებით.

4. ნიშნავს თუ არა ლირის და რუბლის გაუფასურება იმას, რომ ქვეყანაში პროცესები ამ გზით უნდა განვითარდეს?

რა თქმა უნდა, არა. შესაძლოა პირიქითაც მოხდეს. მოვლენის შინაარსიდან გამომდინარე, სხვა პროცესი წავიდეს. ნაკლები ვალუტა გავიდეს და ლარი გამყარდეს (მაგ., თურქული საქონელი გაიაფდეს იმ დაშვებით, რომ ფსიქოლოგიური ფაქტორი 0-ია). აქ უამრავი სხვადასხვა სცენარის განხილვა შეიძლება.

5. ფსიქოლოგიური ფაქტორი რომ ასეთ დიდ როლს თამაშობს, თურქული ლირის ბრალია?

რა თქმა უნდა, არა, შექმნილი სტერეოტიპის და ცრუწარმოდგენის. რამ შექმნა ცრუწარმოდგენა? წარსულმა მოვლენებმა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ლარის, მთავრობისა (ცნობილი ოდიოზური განცხადებები დღემდე) და სებ-ის, როგორც ინსტიტუტების მიმართ ტოტალური უნდობლობა. იზრდება გაურკვევლობა, არაინფორმატიულობა, ქაოსი, ჭორები, უიმედობა. აქ კი ხელისუფლება თამაშობს მნიშვნელოვან როლს. განსაკუთრებით, სებ-ი, რომელიც დუმს, თითქოს ვერ ხვდება პრობლემას, მაგრამ ფაქტია, ვერ აკეთებს სწორ პროგნოზს. მთავრობაზე აღარაფერს ვამბობ, რომლებიც საერთოდ ასტრალში არიან. ასე რომ, ახლა რომ ლარი უფასურდება, არის არა ლირის, არამედ ხელისუფლების ბრალი.

6. რა ზღვრამდე შეიძლება ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა გააუფასუროს ლარი?

დამოკიდებულია ჰიპოთეტურ ფსიქოლოგიურ ზღვარზე, რომელზეც ადამიანები შეთანხმდებიან, რომ ამაზე მეტად აღარ გაუფასურდება და რომ დადგა ის მომენტი, რომ ლარი კი არ უნდა მოვიშოროთ, არამედ დოლარი გავყიდოთ. ფსიქოლოგიური ფაქტორის გამო გაუფასურებულ მდგომარეობას ვუწოდოთ ოვერსჰოოტ-ი. 5. ჰიპოთეტური ზღვრის მერე თუ უკუპროცესი დაიწყო, ლარი ხომ უნდა გამყარდეს და ძველ ნიშნულს დაუბრუნდეს? რა თქმა უნდა, მაგრამ პრობლემას ის ქმნის, რომ ამასობაში, ბევრი სხვადასხვა სტერეოტიპები და ცრუწარმოდგენები დაინერგა ჩვენს ცნობიერებაში. მაგალითად, ლარი უნდა გაუფასურდეს არჩევნების მერე, სექტემბერში, ნოემბერში, იანვარში, თებერვალში. ლარი ზოგადად შეიძლება გამყარდეს მხოლოდ ტურისტულ სეზონზე და სხვ. ამიტომ ჩამოყალიბდა შემდეგი მოცემულობა, რომ ოვერსჰოოტ-ის ამპლიტუდა მაღალია და მოქმედების პერიოდი ხანგრძლივი.

7. უნდა გამოიწვიოს თუ არა ლარის გაუფასურებამ ფასების ზრდა?

სინამდვილეში, ესეც სტერეოტიპია, რომელიც ჩამოყალიბდა წარსულ მოვლენებზე დაკვირვებით. ჩვენთან ხომ ყველაფერი იმპორტირებულია და თუ ლარი გაუფასურდა, ხომ გაძვირდება? თუ ვალუტები უფასურდება სავაჭრო-პარტნიორ ქვეყნებშიც, მაშინ იმპორტირებული საქონელი არ ძვირდება. ასე რომ, არ ნიშნავს, რომ ფასები გაიზრდება. თუმცა, სტერეოტიპი ქმნის ახალ ფსიქოლოგიურ ფაქტორს და ეს არის ინფლაციის (ფასების ზრდის) მოლოდინი. მოლოდინი უბიძგებს ადამიანებს შესაბამისი ქმედებისკენ ზუსტად ისე, როგორც ეს ხდება ოვერსჰოოტ-ის დროს. ანუ ზრდიან ფასებს არა იმიტომ, რომ უნდა გაიზარდოს, არამედ იმიტომ, რომ ასეთი მოლოდინი აქვთ და ამ დროს ინფლაცია გარდაუვალია, რომ არა ერთი შემაკავებელი ფაქტორი, მყიდველის გადახდისუნარიანობა. ამდენად, კითხვაზე, გამოიწვევს თუ არა ლარის გაუფასურება ინფლაციას, პასუხი დამოკიდებულია მყიდველის გადახდისუნარზე, რა უფრო მეტად გადაწონის. სებ-ი კი დუმს და თუ შემთხვევით რაიმე წამოსცდება, ისეთ ენაზე საუბრობს, რომ მხოლოდ იმათ ესმით, ვინც ისედაც ხვდება, რა ხდება. მთავრობა ძველებურად ასტრალშია. ეს მოცემულობა უფრო მეტ რისკებს ქმნის, ვიდრე დოლარიზაციის სავალუტო რეჟიმი შექმნიდა.

კომერსანტი

ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ლაშა ჟვანია ვარდის წარმოების ბიზნესში ჩაერთო

კომპანია „გრინ ვილიჯი“ ვარდის წარმოებას აფართოებს. როგორც ცნობილია, „გრინ ვილიჯს“ კახეთში 4 წელია ეთერზეთების საწარმო აქვს და მოყვანილი ვარდის ესენციის ექსპორტს ევროპაში, ამერიკასა და იაპონიაში ახორციელებს. „გრინ ვილიჯს“ საკონსულტაციო მომსახურებას ეკონომიკის ყოფილი მინისტრის ლაშა ჟვანიას კომპანია „გლობალ უნი გრუპი“ უწევს.

დღეს ლაშა ჟვანია „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ კომპანიას კახეთში, გურჯაანის რაიონში დამატებით 70 ჰექტარი მიწის ნაკვეთი უკვე აქვს შესყიდული (ნაწილი სახელმწიფოსგან აუქციონის წესით გამოისყიდა, ნაწილი-კერძო მესაკუთრეებისგან). ახლა კი 60 ჰექტარი მიწის ნაკვეთი იყიდა, სადაც ჩითილების დარგვის პროცესი მიმდინარეობს.

გარდა ამისა, მისი ინფორმაციით, დამატებით კეთდება წყალსაცავები იმისათვის, რათა შესაძლებელი იყოს არსებული ვარდის ნარგავების სრულად მორწყვა.

– ახალი გაშენებული ვარდის ნარგავები მოსავალს 3 წელიწადში მოგვცემს, გაკეთდება წყალსაცავებიც, რაც ზაფხულის პერიოდში მორწყვის საშუალებას მოგვცემს. არსებული წყლის რესურსი არ ყოფნის. ამის შემდეგ ეთერზეთების წარმოება მასობრივად დაიწყება, – აცხადებს ჟვანია.

ჟვანიას განცხადებით, საქართველოში დამზადებული ეთერზეთები საკმაოდ ძვირადღირებული და მოთხოვნადია საერთაშორისო ბაზრებზე. „გრინ ვილიჯმა“ ვარდის წარმოების განვითარებაში საქართველოში 3,5 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა.

კომერსანტი

ერთ წელიწადში შეძენილი და 26 ათას დოლარად გაყიდული კრიპტოვალუტები

28 ოქტომბერს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი „ევროპული საქართველოს“ რიგებიდან დავით ბაქრაძე იქნება.

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ ინფორმაციას ბაქრაძის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

2018 წლის 23 ივნისს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, დავით ბაქრაძე ფლობს 213 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელ სახლს თბილისში; იმავე მისამართზე მდებარე 28 კვ. მეტრის ავტოფარეხს და 1.751 კვ. მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთს საგურამოში.

მასვე დეკლარაციის შევსების მომენტში სხვადასხვა საბანკო ანგარიშზე – 430 ლარი; 13.414 დოლარი; 337 ლარი; 14.821 ლარი; 1.770 ლარი და 60 დოლარი; ნაღდი ფულადი თანხის სახით კი 15.000 და 19.000 ჰქონდა.

ამასთან, როგორც დეკლარაციაშია აღნიშნული, ბაქრაძის, როგორც პარლამენტის წევრის შემოსავალმა 2017 წლის განმავლობაში 74.865 ლარი შეადგინა. ასევე ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, ბაქრაძემ გასულ წელს 6.000 დოლარად შეიძინა კრიპტოვალუტები, ხოლო მათი გაყიდვით 26.000 დოლარი მიიღო. გარდა ამისა, მისმა გასავალმა ფიზიკური პირის ქონების გადასახადის სახით – 2.380 ლარი; პოლიტიკური შემოწირულობის სახით კი 5.000 ლარი შეადგინა.

დავით ბაქრაძეს ჰყავს მშობლები, მეუღლე და ორი შვილი, თუმცა, ქონებრივ დეკლარაციაში იმ ოჯახის წევრების მონაცემებია ასახული, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ მასთან ერთად, შესაბამისად, დეპუტატის 1 შვილის შესახებ მონაცემები დეკლარაციაში ნაჩვენები არ არის. პრეზიდენტობის კანდიდატის დედა ფლობს 339 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთსა და 287 კვ. მეტრის საცხოვრებელ სახლს ტიბაანში, რომლის 1-ელი სართულის იჯარითაც 12.000 ლარის შემოსავალი მიიღო.

ბაქრაძის მეუღლის შემოსავალმა წინა წელს ჩაჩავას კლინიკაში მარკეტინგის დარგში დირექტორის თანაშემწედ მუშაობისას 11.250 ლარი შეადგინა. რაც შეეხება შვილს, დეკლარაციის შევსების მომენტში, მას საბანკო ანგარიშზე 38.088 ლარი და 130 დოლარი ჰქონდა.

ბპნ

„თბილისში, დაახლოებით, 179 დაუსრულებელი მშენებლობაა“ – კალაძე დეველოპერებს აქტიურობისკენ მოუწოდებს

კახა კალაძე თბილისში არსებული დაუსრულებელი მშენებლობების დასასრულებლად სამშენებლო კომპანიებს წინადადებების წარმოდგენის თხოვნით მიმართავს. ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

კალაძემ სამშენებლო კომპანიებს და დეველოპერებს აქტიურობისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ მშენებლობები რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა დასრულდეს.

– ჩვენ რამდენიმე ხნის წინ ვისაუბრეთ დაუსრულებელ შენობა-ნაგებობებზე, რომელიც ბლომად გვაქვს ქალაქში. ამის აღწერა მოხდა. ილია ელოშვილი მუშაობდა ამ მიმართულებით. დაახლოებით, 179 ობიექტია. არსებულ მდგომარეობაზე მე მქონდა საუბარი ბატონ პრემიერ-მინისტრთან. მინდა გითხრათ, რომ ცენტრალური ხელისუფლებისგან, პრემიერისგან არის სრული მხარდაჭერა, რომ პრობლემა იქნას მოგვარებული.

– მინდა ირაკლი ხმალაძეს და ილია ელოშვილს დავავალო, რომ ამ მიმართულებით მუშაობა დაიწყონ. ასევე მივმართავ დეველოპერებს, სამშენებლო კომპანიებს, არქიტექტორებს – გააქტიურდით. არსებობს პრობლემა ქალაქში წლობით დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობების და მზად ვართ, იაქტიუროთ, მობრძანდით და თქვენი წინადადებები მოიტანეთ. ჩვენ ხელს შეგიწყობთ, რომ მაქსიმალურად სწრაფად მოვაგვაროთ ეს პრობლემები და ქალაქში არ გვქონდეს დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობები. პირველ რიგში პრობლემაა იერსახის თვალსაზრისით, რაც მგონია, რომ დისკომფორტს წარმოადგენს. ძალიან ცუდია, როდესაც ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე, ცენტრალურ უბნებში და რაიონებში ვხედავთ ასეთ შენობა-ნაგებობებს და ერთერთი საუკეთესო მაგალითი შეიძლება იყოს მერიის მიმდებარე ტერიტორია და მგონია, რომ არავის მოგწონთ არსებული ხედი, როგორც გამოიყურება ეს ყველაფერი. გარდა ამისა, არის უამრავი ადამიანი, რომელსაც თანხები აქვს გადახდილი და წლებია ელოდება საკუთარ ფართებს. მგონია, რომ ეს მათთვისაც სერიოზული შვება იქნება. ამიტომ ჩემი თხოვნაა, რაც შეიძლება მალე, მაქსიმალური მხარდაჭერა, მაქსიმალური თანადგომა შევთავაზოთ დეველოპერულ კომპანიებს, რომ მოხდეს ამ შენობა-ნაგებობების დასრულება და მგონია, რომ ჩვენ ამას მოვახერხებთ.

ბპნ

„ოპიკი“ ანაკლიის პორტის მშენებლობაში 100 მილიონ აშშ დოლარამდე ინვესტირებას განიხილავს

აშშ-ის კერძო უცხოური ინვესტიციების კორპორაციის (OPIC) აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი დევიდ ბოჰიგიანი და „ოპიკის“ წარმომადგენლები ქართულ-ამერიკული კონსორციუმის,ADC-ის მენეჯმენტს შეხვდნენ და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ფინანსირების საკითხები განიხილეს.

– ძალიან შთამბეჭდავია პორტის დეველოპერთა გეგმები მის განვითარებასთან დაკავშირებით, რომელიც ხელს შეუწყობს ასობით სამუშაო ადგილის შექმნას რეგიონში და საქართველოს კიდევ უფრო მნიშვნელოვან ევრაზიის სატრანზიტო ცენტრად აქცევს... პორტის განვითარება ნაწილია დამაკავშირებელი გეგმისა, რომ შავი ზღვა განვითარდეს როგორც რეგიონული და გლობალური ჰაბი, – განაცხადა „ოპიკის“ აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა.

აშშ-ის კერძო უცხოური ინვესტიციების კორპორაცია ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ფინანსირების საკითხზე უკვე რამდენიმე თვეა მუშაობს. საფინანსო ინსტიტუტი პორტის მშენებლობაში 100 მილიონ აშშ დოლარამდე ინვესტირებას განიხილავს. ამავდროულად, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის დაფინანსებაში ჩართულია 5 სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი, რომელთა წარმომადგენლებმა 2018 წლის ივლისში ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ტერიტორია შეისწავლეს და „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრები გამართეს.

„ოპიკი“ – კერძო უცხოური ინვესტიციების კორპორაცია – აშშ-ის სააგენტოა, რომელიც ამერიკული ინვესტიციების საერთაშორისო ბაზრებში დაბანდებას უწყობს ხელს. OPIC-ის სერვისები ხელმისაწვდომია 160-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედი ახალი და გაფართოებაზე ორიენტირებული ბიზნესისათვის, რომლებიც ინვესტირებას გეგმავენ. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის I ფაზის მშენებლობა საზღვაო-სამშენებლო ეტაპზე გადავიდა. პორტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს მძიმე ტექნიკის მობილიზება მასშტაბური საზღვაო სამუშაოების დასაწყებად.

კომერსანტი

საქართველოში ვიზიტორების ყველაზე დიდი რაოდენობა რუსეთიდან დაფიქსირდა

საქსტატის მონაცემებით, 2018 წლის II კვარტალში საქართველოს ტერიტორიაზე 2 მილიონი საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაური შემოვიდა, რაც 12.7 პროცენტით მეტია 2017 წლის II კვარტალის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. შემოსვლების უდიდესი ნაწილი, 45.8 %, განხორციელდა 31-50 წლის ასაკის მქონე მოგზაურების მიერ.

საქსტატის ინფორმაციით, აღნიშნული რაოდენობიდან საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 1.7 მილიონი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 13.8 პროცენტით არის გაზრდილი.

საქსტატის მიერ გავრცელებულ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ 2018 წლის II კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 1.3 მილიონს მიაღწია, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 15.7 პროცენტით არის გაზრდილი. საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელდა 1.1 მილიონი ტურისტული ტიპის ვიზიტი, რაც 20.4 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

საერთაშორისო ვიზიტორების 66 პროცენტი მხოლოდ ტურისტები იყვნენ. მხოლოდ ექსკურსანტების წილმა 28.3 პროცენტი შეადგინა, ხოლო ვიზიტორების 5.7 პროცენტი იყო როგორც ტურისტი, ასევე ექსკურსანტი.

საქსტატის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით ირკვევა, რომ 2018 წლის II კვარტალში ვიზიტორების ყველაზე დიდი რაოდენობა, 276.6 ათასი ვიზიტორი, დაფიქსირდა რუსეთის ფედერაციიდან, რაც მთლიანი ვიზიტორების 20.6 პროცენტს შეადგენს და წარმოადგენს 31.6 პროცენტიან ზრდას 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. ვიზიტების ყველაზე დიდი წილი (19 პროცენტი) აგრეთვე რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების მიერ განხორციელდა, რაც 2.2 პროცენტული პუნქტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ვიზიტორების უმრავლესობა, 45.8 პროცენტი, მიეკუთვნებოდა 31-50 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას. ქალების რაოდენობა მთლიანი ვიზიტორების 38.5 პროცენტს შეადგენდა.

2018 წლის II კვარტალში ყველაზე მეტი ვიზიტი, 44 პროცენტი, განხორციელდა დასვენების, გართობისა და რეკრეაციის მიზნით.

ირკვევა, რომ ვიზიტების უმრავლესობა განხორციელდა თბილისსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, შესაბამისად, 846.2 ათასი და 446.0 ათასი ვიზიტი.

2018 წლის II კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გათეული ღამეების საშუალო რაოდენობამ 3.6 ღამე შეადგინა, რაც 2017 წლის II კვარტალში დაფიქსირებულ მაჩვენებელზე (3.9 ღამე) 8 პროცენტით ნაკლებია. განხორციელებული ვიზიტების 70 პროცენტი წარმოადგენდა განმეორებითი ხასიათის ვიზიტს.

2018 წლის II კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული ხარჯები 1.9 მილიარდ ლარს გაუტოლდა, რაც 31.5 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ვიზიტზე საშუალო ხარჯი წინა წელთან შედარებით 15.5 პროცენტით გაიზარდა და 1,144.1 ლარი შეადგინა.

კომერსანტი

შემოსავლების სამსახური ნავთობიმპორტიორებს საწვავის ფასს გადაუმოწმებს



შემოსავლების სამსახური ნავთობიმპორტიორებს საბაჟო დეკლარაციებში დაფიქსირებულ და სარეალიზაციო ქსელში არსებულ საწვავის ფასს „გადაუმოწმებს“.

ამ მიზნით უწყება PLATTS -ის ბაზებთან წვდომის უფლებას ყიდულობს, რაც 35.785.04 დოლარი დაუჯდება.

– გამარტივებული შესყიდვის უფლება შემოსავლების სამსახურმა უკვე ითხოვა. მაკონტროლებელი განმარტავს, რომ ხშირად ხდება საბაჟო დეკლარაციებში ცვლილებების შეტანაზე მიმართვა, რა დროსაც იმპორტიორები განმარტავენ, რომ საქონლის გაფორმებისას წარდგენილი ინვოისები და მათში დაფიქსირებული საქონლის ფასები არ არის საბოლოო და საქონლის საბოლოო ფასები, ხელშეკრულებების საფუძველზე, განისაზღვრება კონკრეტული პერიოდის მიხედვით Platts-ის European Marketscan-ის რეპორტებში FOB Med (Italy) -ს განყოფილებაში დაფიქსირებულ ნავთობპროდუქტების ფასებზე დაყრდნობით.

გადამხდელები მტკიცებულებების სახით წარმოადგენენ კორექტირებულ ინვოისებს და „Platts“-ის რეპორტებს, რომლებზეც საბაჟო დეპარტამენტს წვდომა არ გააჩნია და, შესაბამისად, ვერ ხერხდება გადამხდელების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების სრულყოფილად შესწავლა და გადამოწმება, – ნათქვამი შემოსავლების სამსახურის მიერ მომზადებულ დოკუმენტაციაში.

მაკონტროლებელი აცხადებს, რომ ამავდროულად, საბაჟო რისკების განსაზღვრა მუშაობის პროცესში, რისკების იდენტიფიცირების მიზნით, საჭიროა საბაჟო დეკლარაციაში წარმოდგენილი მონაცემების (მათ შორის ღირებულების) შედარება რეალურ მონაცემებთან. შესაბამისად, დეკლარირებული მონაცემების PLATTS -ის მონაცემებთან შედარება საბაჟო დეპარტამენტს დაეხმარება რისკების განსაზღვრა-შეფასებაში. კიდევ ერთი სფერო, სადაც ამ ბაზებთან წვდომის აუცილებლობაა, შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტს საქმიანობაა.

– მონაცემების გამოყენება შეაძლებელს გახდის საგადასახადო შემოწმების მიმდინარეობისას ნავთობპროდუქტების საბაზრო ფასის მეტი სიზუსტით გამოთვლას, – მიიჩნევს შემოსავლების სამსახური.

კომერსანტი

ავტომწარმოებლებს 14 მილიარდი ევროს ჯარიმები ელით

კვლევით კომპანია „IHS მარკიტის“ ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც ძალაში შევა ავტომობილების ტესტების ახალი სტანდარტი (WLTP – მსოფლიოს მსუბუქი ავტომობილების სატესტო ჰარმონიზებული პროცედურები), ავტომწარმოებლებს გამონაბოლქვზე ახალი, მკაცრი მოთხოვნების დაკმაყოფილება მოუწევთ.

წინაალმდეგ შემთხვევაში, მათ მკაცრი ჯარიმები ელით, რომლებმაც ჯამში, შესაძლოა, 14 მილიარდ ევროსაც კი მიაღწიოს.

2021 წელს მწარმოებელზე საშუალო გამონაბოლქვი, ყოველ კილომეტრზე, არ უნდა იყოს 114.9 გრამზე მეტი. „IHS markitis“ ინფორმაციით, ამჟამად მსხვილი მწარმოებლების საშუალო მაჩვენებელი, კილომეტრზე 122.9 გრამს შეადგენს. ყოველ გაყიდულ ავტომობილზე, რომელიც ახალ ზღვარში ვერ ჩაეტევა, მწარმოებელს 2020 წელს 624 ევროს გადახდა მოუწევს, ერთი წლის შემდეგ კი ჯარიმის მოცულობა 814 ევრომდე გაიზრდება.

დიზელგეიტის შემდეგ, ამ ტიპის აგრეგატების წარმოებას ბევრი კომპანია წყვეტს. ამის მიზეზი ისიცაა, რომ ევროპის დიდი ქალაქები, ერთმანეთის მიყოლებით ზღუდავენ დიზელისძრავიან ავტომობილებს. ასეთ სიტუაციაში, მწარმოებლები გამოსავალს ელექტრიფიკაციაში ეძებენ. გარდამავალ პერიოდში, ისინი არჩევანს ჰიბრიდულ აგრეგატებზე აჩერებენ, უფრო შორეულ პერსპექტივაში კი ელექტრომობილების წარმოებაზე გადავლენ, რისთვისაც ახლავე იჭერენ თადარიგს.

ბპნ

სებ-ი კომერციულ ბანკებს ახალ მოთხოვნას უყენებს

ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საცხოვრებელი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ რისკის პოზიციებზე მოთხოვნას უმკაცრებს.

სებ-ის გადაწყვეტილებით, ამ მიზნებისთვის უზრუნველყოფად ჩაითვლება მხოლოდ მაღალი ლიკვიდურობის მქონე საცხოვრებელი უძრავი ქონება, ამ დრომდე მხოლოდ ის საცხოვრებელი ქონება ითვლებოდა, რომლის ფართობიც არ აღემატებოდა 120 მ³.

ამასთან, ცვლილებით, კომერციულმა ბანკებმა უნდა შეიმუშაონ რისკის პოზიციების საცხოვრებელი უძრავი ქონების იპოთეკით უზრუნველყოფილ აქტივებად კლასიფიკაციის იმგვარი პოლიტიკა, რომელიც ადეკვატურად ითვალისწინებს საცხოვრებელი უძრავი ქონების ლიკვიდურობას.

ლიკვიდურობის კრიტერიუმებთან დაკავშირებული მიდგომები კი, სათანადოდ უნდა იყოს ასახული სებ-ისგან საცხოვრებელი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი რისკის პოზიციების კლასის გამოყენების ნებართვაზე წარდგენილ განაცხადში.

ამასთან, იმ კომერციულმა ბანკებმა, რომლებსაც უკვე აქვთ სებ-ისგან თანხმობა საცხოვრებელი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი რისკის პოზიციების 35%-იან შეწონვაზე, მარეგულირებელს ახალი განაცხადით უნდა მიმართონ.

GBC

რუსეთი საქართველოში გადმორიცხულ ფულად გზავნილებში ისევ ლიდერია

ეროვნული ბანკის მონაცემებით, უცხოეთიდან 144.3 მლნ დოლარი გადმოირიცხა (352.9 მლნ ლარი), რაც 19.3 %-ით (23.3 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2017 წლის ივლისის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

საქართველოში გადმორიცხულ ფულად გზავნილებში რუსეთი ლიდერობს, საიდანაც ივლისში 43 მლნ აშშ დოლარი გადმოირიცხა. მეორეა იტალია 16,5 მლნ აშშ დოლარით, ხოლო მესამე – საბერძნეთი, საიდანც გადმორიცხვებმა 15 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2018 წლის ივლისში საქართველოდან საზღვარგარეთ 18.9 მლნ აშშ დოლარი (46.3 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 15.8 მლნ აშშ დოლარისა (38.0 მლნ ლარისა) გასული წლის ივლისში.

კომერსანტი

გურიაში 16 წლის გოგომ თავი ჩამოიხრჩო

გურიაში 16 წლის გოგომ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში, ახალგაზრდა გოგო საკუთარ სახლში იპოვეს ჩამომხრჩვალი.

რა გახდა სუიციდის მიზეზი, ამ ეტაპზე ცნობილი არ არის.

ავარია ბათუმში – დაიღუპა 1 და დაშავდა 2 ადამიანი

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ბათუმში. მომხდარის შედეგად, ერთი ადამიანი დაიღუპა, ორი კი დაშავდა.

ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა.

დაშავებულები ბათუმის საუნივერსიტეტო კლინიკაში არიან მოთავსებულები.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს.

ტრაპზონში ავარიისას დაშავებული ქართველი ცოლ-ქმრის მდგომარეობა ამ დრომდე მძიმეა

ტრაპზონში ავარიაში დაშავებული ქართველი ცოლ-ქმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დრომდე მძიმეა.

დაშავებულები რეანიმაციულ განყოფილებაში არიან მოთავსებულები. მამაკაცი მართვით სუნთქვაზე იმყოფება.

მესამე დაშავებულს 14 აგვისტოს გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა.

ავარია ტრაპზონში 14 აგვისტოს გამთენიისას მოხდა. საქართველოს სანომრენიშნიანი მიკროატობუსით თურქეთში სეზონურ სამუშაოებზე 21 ადამიანი მიდიოდა.

„ბორჯომის“ ფეხბურთელი თედო კაკულია ავარიაში დაიღუპა

14 აგვისტოს, საფეხბურთო კლუბ „ბორჯომის“ ფეხბურთელი თედო კაკულია ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაიღუპა. არაოფიციალური ინფორმაციით, 24 წლის ფეხბურთელი მოტოციკლით მოძრაობისას უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა.

კაკულიას თბილისის „დინამოში,“ რუსთავის „მეტალურგში,“ ფოთის „კოლხეთსა“ და გორის „დილაში“ უთამაშია. ის ასევე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრიც იყო.

სადახლოსა და ქუთაისის აეროპორტში ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტები აღმოაჩინეს

სადახლოსა და ქუთაისის აეროპორტში ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტები აღმოაჩინეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, 13-14 აგვისტოს, საბაჟოგამშვებ პუნქტებში ,,სადახლო-საავტომობილო“ და ,,ქუთაისის აეროპორტი“, ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტების ქვეყანაში უკანონოდ შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, რუსეთის, საბერძნეთისა და საქართველოს მოქალაქეებს, ს.კ-ს, ნ.ა-სა და ნ.გ-ს, ნარკოტიკული (60 კაფსულა და 110 აბი) ნივთიერების შემცველი მედიკამენტები აღმოუჩინეს.

საქმეთა მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ერთეულებს გადაეცათ.

ხე-ტყის გადამამუშავებელი 708 საამქროდან სავალდებულო რეგისტრაცია გავლილი 18-ს არ აღმოაჩნდა

ხე-ტყის გადამამუშავებელი 708 საამქროდან შესაბამისი რეგისტრაცია გავლილი 18-ს არ ჰქონდა. აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში განუცხადეს.

„საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებულ იქნა ხე-ტყის გადამამუშავებელ 708 სახერხ საამქროში, მათგან 690-ს გავლილი ჰქონდა შესაბამისი რეგისტრაცია, ხოლო 18 შემთხვევაში სახერხ საამქროს არ ჰქონდა გავლილი სავალდებულო რეგისტრაცია. გამოძიება გრძელდება. ტარდება ინვენტარიზაციები და შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები“, – ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციაში.

„კობაური ამტკიცებს, რომ ვაჟიშვილია და სექსუალური ურთიერთობა არასოდეს ჰქონია“

ბრალდებულს ამ საკითხის გასარკვევად ექსპერტიზა ჩაუტარდება

სმიტების ოჯახის მკვლელობაში ბრალდებულის, მალხაზ კობაურის ადვოკატის, ალექსანდრე კობაიძის თქმით, ფსიქიკურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებულს ჯანმრთელი ფსიქიკა აქვს.

როგორც ალექსანდრე კობაიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ექსპერტიზის შედეგების თანახმად, მალხაზ კობაურს ქმედუუნარობა არ აღენიშნება, ანუ მას აქვს ჯანმრთელი ფსიქიკა და ლოგიკურად აზროვნებს.

– 14 აგვისტოს მალხაზ კობაურის ფსიქიკურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ბოლო პროცედურა ჩატარდა, როდესაც ფსიქიატრებმა და ფსიქოლოგებმა ერთობლივად შეაფასეს მისი ფსიქიკური მდგომარეობა და ფაქტობრივად, დაადგინეს, რომ არანაირად ამ ადამიანს არ აღენიშნება, რომ ქმედუუნაროა ანუ არ აქვს ჯანმრთელი ფსიქიკა და ლოგიკურად არ აზროვნებს.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყოველივე წერილობითაც აისახება და რაც ითქვა, რომ ეს ადამიანი არის ჯანმრთელი, დარწმუნებული ვარ, ჩვენი, ადვოკატების პოზიცია გამართლდება იმ თვალსაზრისით, რომ ვამბობთ, კობაური აბსოლუტურად გაწონასწორებული და მყარი ფსიქიკის პატრონია, – განაცხადა ალექსანდრე კობაიძემ.

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ლორა სმიტის სხეულზე ბრალდებულის ბიოლოგიური მასალაა აღმოჩენილი, ექსპერტიზით არ დადგენილა, რომ გარდაცვლილი გაუპატიურებულია.

– ბრალდებულსა და ლორა სმიტს შორის სქესობრივი კავშირი არ იყო. ასევე, ლორა სმიტს ძალადობის კვალი არ აღენიშნება, მხოლოდ მალხაზ კობაურის ბიოლოგიური მასალაა აღმოჩენილი – აქ მთელი რიგი კითხვებია, რაზეც პასუხები არ არის, ამიტომ ეს ყველაფერი მომავლის საქმეა და ამაზე პასუხები ექნება როგორც გამოძიებას, ისე ჩვენც, – აღნიშნა ალექსანდრე კობაიძემ.

მისივე თქმით, მალხაზ კობაური ამტკიცებს, რომ მას სექსუალური ურთიერთობა არასდროს ჰქონია, შესაბამისად, მისი სპერმა ლორა სმიტის სხეულში ვერ მოხვდებოდა.

„ნიუპოსტთან“ საუბრისას ალექსანდრე კობაიძემ განაცხადა, რომ ბრალდებულს უახლოეს დღეებში ჩაუტარდება ექსპერტიზა იმის დასადგენად, არის თუ არა კობაური ვაჟიშვილი:

– მოგეხსენებათ არსებობს ასეთი მოსაზრება, რომ მოკლული ლორა სმიტის სხეულში აღმოჩენილია მალხაზ კობაურის სპერმა, თავად ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ამტკიცებს, რომ მას სექსუალური ურთიერთობა არასდროს ჰქონია, შესაბამისად მისი სპერმა გარდაცვლილის სხეულში ვერ მოხვდებოდა. ჩვენ გადავწყვიტეთ, მას ჩაუტარდეს ექსპერტიზა, რათა დადგინდეს, არის თუ არა კობაური ვაჟიშვილი და ჰქონია თუ არა მას ოდესმე სექსუალური ურთიერთობა. ექსპერტიზა უახლოეს მომავალში, სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ჩატარდება, – აღნიშნა ადვოკატმა „ნიუპოსტთან“ საუბრისას.

7 ივლისს დუშეთის მუნიციპალიტეტში, ხადას ხეობაში საქართველოსა და აშშ-ის ორმაგი მოქალაქე ცოლ-ქმარი 1975 და 1976 წელს დაბადებული რაიან სმიტი და მისი მეუღლე ლორა გარდაცვლილები იპოვეს. მოგვიანებით იპოვეს მათი 4 წლის ბავშვის ცხედარიც. აღნიშნულ საქმეზე მალხაზ კობაური დაკავეს. 11 ივლისს მალხაზ კობაურს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.

21 წლის ალეკო ჯაჭვლიანი 20 წლის გოგომ მოკლა

ტრაგედია გურამიშვილის გამზირზე

ავტოსაგზაო შემთხვევას თბილისში 21 წლის ახალგაზრდა მამაკაცი ემსხვერპლა. გურამიშვილის გამზირზე ალეკო ჯაჭვლიანს, სავარაუდოდ, სწრაფად მომავალი ავტომანქანა იმ დროს დაეჯახა, როცა ის ფეხით გადაადგილდებოდა.

დაშავებული ახალგაზრდის გადარჩენა ექიმებმა ვერ შეძლეს.

„ეს ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც გამარჯობის და მოკითხვის გარეშე გვერდს არ გამივლიდა, კარგი ადამიანი, ვიღაც დაუდევარი დამნაშავის გამო ცოცხალი აღარაა! ფეხით მოსიარულეს დაეჯახა. საჭესთან 20 წლის გოგო იჯდა. – ნუ, არ ვიცი, საშინლად უარყოფითი დღეა!“ – წერს „ექსპრესნიუსის“ რედაქტორი, ჟურნალისტი ირაკლი მანაგაძე.

მომხდართან დაკავშირებით შს სამინისტრომ გამოძიება უკვე დაიწყო, უწყების ცნობით, საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატების სარჩელი განხილვაში მიიღო

საკონსტიტუციო სასამართლომ დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატების სარჩელი განხილვაში მიიღო. ამის შესახებ დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა.

ადვოკატები საკონსტიტუციო სასამართლოსგან „სისხლის სამართლის კოდექსის“ იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვენ, რომელიც გაუთქმელობის ვალდებულებას ეხება.

დეკანოზ გიორგი მამალაძეს პროკურატურა შორენა თეთრუაშვილის მკვლელობის მომზადებას ედავება. მას ბრალი თავდაპირველად მკვლელობის მომზადებისა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვაში ედებოდა, თუმცა მოგვიანებით პროკურატურამ მას ბრალი დაუმძიმა და ანგარებით განზრახ მკვლელობის მომზადების მუხლში გადაუკვალიფიცირა. საგამოძიებო უწყების ვერსიით, არსებული მატერიალური და იერარქიული მდგომარეობის შენარჩუნებისა და მომავალში კარიერული წინსვლის უზრუნველსაყოფად, დეკანოზმა გიორგი მამალაძემ ანგარებით განიზრახა ძლიერმოქმედი მომწამვლელი ნივთიერების ციანიდის გამოყენებით შორენა თეთრუაშვილის მკვლელობა.

დეკანოზი თბილისის საქალაქო სასამართლომ გასული წლის 5 სექტემბერს დამნაშავედ ცნო და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ ძალაში უცვლელად დატოვა, ხოლო უზენაესმა სასამართლომ ციანიდის საქმეზე საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო.

საფრანგეთში ქურდობის ბრალდებით საქართველოს მოქალაქე დააკავეს

ფრანგმა სამართალდამცველებმა ქართველ პოლიციელებთან აქტიური და ეფექტიანი თანამშრომლობის შედეგად, საფრანგეთში ქურდობაში ბრალდებული საქართველოს მოქალაქე დააკავეს.

საფრანგეთში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ატაშეს ქალაქ პლურინ-ლე-მორლეს ჟანდარმერიის სამსახურმა ქართული წარმოშობის სავარაუდო დამნაშავის ვინაობის დადგენის მიზნით მიმართა.

ფრანგი სამართალდამცველები 2017 წლის ივლისში ქალაქ ლამერში და 2018 წლის იანვარში ქალაქ პლუინოში ჩადენილი ქურდობის ფაქტებზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებს იძიებდნენ. ქურდობის ბრალდებით 1 პირი იძებნებოდა. მიმდინარე წლის 10 აგვისტოს საფრანგეთში, ქალაქ სენტ-ბრიეკში, ადგილობრივი პოლიციის მიერ გადამოწმებულ იქნა სავარაუდოდ აღნიშნული დანაშაულების ჩამდენი საქართველოს მოქალაქე, 1982 წელს დაბადებული ა.ჯ., რომელიც გაყალბებული პერსონალური მონაცემებით და ყალბი დოკუმენტაციით გადაადგილდებოდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოხდა აღნიშნული პირის იდენტიფიცირება, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობათ ფრანგ სამართალდამცველებს.

მიმდინარე წლის 11 აგვისტოს ქალაქ ბრესტის პროკურატურამ დაკავებულ ქართველს საფრანგეთის ტერიტორიაზე ჩადენილი ორი ბინის ქურდობის ფაქტზე ბრალი წარუდგინა და წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

14 აგვისტოს საფრანგეთის ქალაქებში ჩადენილი რამდენიმე ქურდობის ბრალდებით დაკავებული ა.ჯ. საფრანგეთის სასამართლომ 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა.

ჩინეთი აშშ-ის თავდაცვის ბიუჯეტის მიღებით შეშფოთებულია

ჩინეთი აშშ-ის თავდაცვის ბიუჯეტის მიღებით შეშფოთებულია. ჩინეთის თავდაცვის სამინისტრომ ამასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთა.

– აშშ-ის თავდაცვის ბიუჯეტი ნიშანია იმისა, რომ ვაშინგტონში ცივი ომის დროინდელი კატეგორებით აზროვნებენ, – ნათქვამია განცხადებაში.

ამავე დროს, ჩინელი სამხედროები ცდილობენ დაარწმუნონ ამერიკელები, რომ ვაშინგტონის მიმართ არავითარი აგრესიული ზრახვები არ გააჩნიათ.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ჩინეთ-აშშ-ს შორის კონფრონტაცია გაზვიადებულია.

ერდოღანი ამერიკული ელექტრონული ტექნიკის ბოიკოტისკენ მოუწოდებს

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა თანამემამულეებს ამერიკული ელექტრონული ტექნიკის ბოიკოტისკენ მოუწოდა. ასეთია მისი პასუხი აშშ-ის სანქციებზე.

– ჩვენ თავად უნდა ვაწარმოოთ ყველაფერი, რაც გვჭირდება, მათ შორის ელექტრონული ტექნიკაც, – თქვა ერდოღანმა.

თურქეთმა გაზარდა საბაჟო გადასახადები ამერიკიდან იმპორტირებულ ავტომობილებზე, ალკოჰოლსა და კოსმეტიკაზე.

პუტინი, შესაძლოა, კიმ ჩენ ინს შეხვდეს

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ჩრდილოეთ კორეის დიქტატორ კიმ ჩენ ინს დეპეშა გაუგზავნა და იაპონელ ოკუპანტებისგან გათავისუფლების იუბილე მიულოცა. პუტინმა გამოთქვა მზადყოფნა, რომ ჩრდილოეთ კორეის დიქტატორს შეხვდეს.

პუტინისა და კიმ ჩენ ინის შეხვედრა, სავარაუდოდ, ნოემბერში გაიმართება.

იტალიელი პროკურორი: „გენუაში ხიდის ჩამონგრევა ადამიანური ფაქტორის გამო მოხდა“

– გენუაში საავტომობილო ხიდის ჩამონგრევა ადამიანური ფაქტორის გამო მოხდა, შემთხვევითობაზე საუბარი არ არის.

ამის შესახებ ქალაქ გენუის პროკურორმა ფრანჩესკო კოციმ განაცხადა.

მისივე თქმით, პროკურატურამ საქმე აღძრა და ხიდის მშენებლობასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებით დოკუმენტებისა და ჩვენებების შეგროვებას იწყებს.

– ჩვენ პასუხი უნდა გავცეთ ერთადერთ კითხვას: რატომ მოხდა ის, რაც მოხდა? ეს ჩვენი ამოცანაა და ამისთვის ყველაფერ საჭიროს გავაკეთებთ, – აღნიშნა პროკურორმა.

იტალიის ტრანსპორტის მინისტრმა დანილო ტონინელიმ კი განაცხადა, რომ ცივილიზებულ ქვეყნებში ხიდის ჩამონგრევით არ კვდებიან.

მისივე თქმით, „აუტოსტრადე პერ იტალიას“ ხელმძღვანელობამ, რომელსაც იტალიაში საავტომობილო გზების მართვა და ექსპლუატაცია აკისრია, თავისი ვალდებულებები არ შეასრულა, რის გამოც უნდა გადადგეს.

„ცივილიზებულ ქვეყნებში ხიდის ჩამონგრევით არ კვდებიან. ის, ვინც დამნაშავეა ამ ტრაგედიაში, დაისჯება. ჩვენ დიდ ფულს ვუხდით კომპანიებს, რომლებიც ჩვენს მაგისტრალებს მართავენ, ისინი კი სასაცილო თანხებს იხდიან ლიცენზიისთვის. ისინი მილიარდებს შოულობენ და გადასახადის სახით მხოლოდ რამდენიმე მილიონს იხდიან და თავიანთ ვალდებულებებსაც კი არ ასრულებენ“, – დაწერა იტალიის ტრანსპორტის მინისტრმა „ფეისბუქის“ პირად გვერდზე.

ქალაქ გენუის პრეფექტურის ბოლო მონაცემებით, გუშინ ხიდის ჩამონგრევის შედეგად 35 ადამიანი დაიღუპა. აქამდე გავრცელებული ინფორმაციით, საუბარი იყო 31 ადამიანზე, მათ შორის 3 ბავშვზე.

ნანგრევებიდან 16 ადამიანი უკვე გამოიყვანეს, რომლებიც ჰოსპიტალიზირებულნი არიან. გენუის პრეფექტურის ინფორმაციით, დაღუპულთა და დაშავებულთა რიცხვი შეიძლება გაიზარდოს.

აღსანიშნავია, რომ იტალიის ვიცე-პრემიერმა ლუიჯი დი მაიომ ხიდის ჩამონგრევის პასუხისმგებლობა კომპანია „აუტოსტრადე პერ იტალიას“ დააკისრა.

აშშ აზერბაიჯანიდან იტალიამდე გაზსადენის გაყვანას მხარს დაუჭერს?!

აშშ-ის კონგრესის სადაზვერვო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ნუნესმა, განაცხადა, რომ რუსეთის გამოწვევების პასუხად აშშ-მა კონტრზომები უნდა განახორციელოს, კერძოდ, ევროპას ენერგომომარაგების ალტერნატიული გზები უნდა შესთავაზოს.

– კარგი იქნებოდა, თუ აზერბაიჯანიდან გაზი იტალიას მიეწოდებოდა, იქიდან კი მთელს ევროპაზე განაწილდებოდა, – თქვა ნუნესმა.

კონგრესის სადაზვერვო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე უდავოდ გავლენიანია. მისი განცხადებაც ბევრს ნიშნავს. ახლა მთავარია, რას იტყვიან ამაზე აშშ-ის პირველი პირები.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

მოტყუებულმა მშენებელმა სიცილით დაანგრია მის მიერვე აშენებული სახლები

დიდ ბრიტანეთში გაბრაზებულმა მშენებელმა მის მიერვე აშენებული სახლები დაანგრია. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ზარალის თანხამ დაახლოებით 2,5 მილიონი ფუნტი სტერლინგი შეადგინა.

ინციდენტი ჰარტფორდშირის საგრაფოს ქალაქ ბანტინგფორდში მოხდა. 30 წლის დანიელ ნიგოუმ ახალმშენებლობებთან ორი ექსკავატორი მიიყვანა და შემდეგ მათი დახმარებით ხუთი შენობა დაანგრია. თვითმხილველები ირწმუნებიან, რომ ამ დროს ის იცინოდა და სურათებს იღებდა. ადგილობრივები მის შეჩერებას შეეცადნენ. მან თავის მხრივ ისინი დაარწმუნა, რომ ანგრევდა მხოლოდ იმ სახლებს, რომლის აშენებაშიც მას ფული არ გადაუხადეს.

61 წლის ელეინ ფრანსუამ, რომელმაც შემთხვევის ადგილზე პოლიცია გამოიძახა, განაცხადა, რომ მომხდარი მას ბომბის აფეთქებას ან მიწისძვრას მოაგონებდა. ნიგოუ შემთხვევის ადგილზე დაიკავეს. ამ დროს ის სრულიად მშვიდად გამოიყურებოდა და როდესაც ხელებზე ბორკილებს ადებდნენ, ოდნავი წინააღმდეგობაც კი არ გაუწევია.

მამაკაცს ქონების წინასწარ განზრახვით განადგურების ან დაზიანების ბრალდება წაუყენეს. ამის გამო ნიგოუ შესაძლოა 10 წლით აღმოჩნდეს საპყრობილეში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

უპატრონო ბატი უნივერსიტეტში მოეწყო

ჩინეთში უნივერსიტეტში მიიღეს უპატრონო ბატი, რათა ის დაჭერისა და შემდეგ შეჭმისგან გადაერჩინათ.

შინაური ფრინველის ყოფილი პატრონი გვარად იუ შანხაიდან გადასახლდა და თავისი ბატის, სახელად გუგუს თან წაყვანა ვერ მოახერხა. მან იქვე მახლობლად მდებარე შანხაის წყლის ტრანსპორტის უნივერსიტეტს ფრინველის თავისთან შეფარების თხოვნით მიმართა.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მის თხოვნას გამოეხმაურა.

– ჩვენ გადავწყვიტეთ გუგუ ჩვენი ბატების დიდ ოჯახში მიგვეღო. იმედი გვაქვს, რომ ის ჯანმრთელი და ძლიერი გაიზრდება, – განაცხადა უნივერსიტეტის წარმომადგენელმა.

ფრინველი ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაცულ ტბა დიშუიზე დაასახლეს. გოგონამ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ ახალ ადგილზე გუგუ თავის მეორე ნახევარს იპოვის.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

იტალიამ საქართველო დაამარცხა და ნახევარფინალშია

ევროპის ჭაბუკ ხელბურთელთა ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა 21:26 წააგო იტალიის ნაკრებთან. აპენინელებმა 3 თამაშიდან სამივე მოიგეს და ნახევარფინალში გავიდნენ. საქართველო კი, ოთხეულს მიღმა დარჩა.

იტალიელები თავიდანვე დაწინაურდნენ და ქართველებს არათუ წინ გასვლის, ანგარიშის გათანაბრების საშუალებაც არ მისცეს. საინტერესო ფაქტია, რომ იტალიელთაგან გოლები გაიტანა ცამეტმა მოთამაშემ, ხოლო ქართველთაგან სამმა: გიორგი ცხოვრებაძემ (10), ნიკოლოზ კალანდაძემ (6) და გიორგი ლაპიაშვილმა (5).

იტალიის ნაკრებიდან საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს 5 გოლის ავტორი მაქს პრანტნერი, ხოლო საქართველოს ნაკრებიდან გიორგი ლაპიაშვილი.

ტიტე კალანდაძე, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

– მეტის მოლოდინი გვქონდა, უფრო კარგ თამაშს ველოდი. თითქოს ყველაფერი გამოდიოდა, მაგრამ ბოლომდე ვეღარ შევძელით შეტევა. ალბათ, დაღლილობის ბრალი იყო. მთელმა გუნდმა თავი დადო, მაგრამ არ გამოვიდა.

ოთხიდან 3 ნახევარფინალისტი უკვე გამოვლენილია: იტალია, ბელარუსი და მაკედონია. მეოთხე საგზურს ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში გაითამაშებენ შვეიცარია, ფარერის კუნძულები და ლუქსემბურგი. საქართველოს ნაკრები ბრძოლას მე-5 ადგილისთვის გააგრძელებს.

ივან სავიდი: „სპარტაკი საბჭოთა პერიოდიდან მეზიზღება“

ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე მოსკოვის სპარტაკი სალონიკის პაოკ-თან ორმატჩიან დუელში დამარცხდა (2:3, 0:0), გათამაშებას გამოეთიშა და ასპარეზობას ევროპა ლიგაზე გააგრძელებს.

თუმცა, მთავარი მოვლენები მატჩის შემდეგ განვითარდა. საფინალო სასტვენის შემდეგ პაოკ-ის ეროვნებით ბერძენი მცველი ევგენი ხაჩერიდი, რომელიც უკრაინის ნაკრების ფეხბურთელია, ტრიბუნასთან მივიდა და ნიშნისმოგებით აჩვენა უკრაინის ნაკრების წვივსაფარი.

სპარტაკთან მოგების შემდეგ, კომენტარი პაოკ-ის მფლობელმა ივან სავიდიმ გააკეთა.

ივან სავიდი:

– ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან მეზიზღებოდა სპარტაკი, მაშინ კიევის დინამოს დიდი გულშემატკივარი ვიყავი. უგულო გუნდია, თორემ 40.000 გულშემატკივრის თვალწინ სხვანაირად უნდა ეთამაშა, ისე, როგორც ჩვენ სალონიკში. მართალი გითხრათ, ძალიან მინდოდა სავსე სტადიონზე დაგვემცირებინა სპარტაკი და დავამცირეთ კიდეც. ჩვენ ის გავაგდეთ ტურნირიდან და წინ მივიწევთ.

მესიმ წელს ნაკრები იუარა

რუსეთში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, ვარაუდობდნენ, რომ მესი ნაკრებს დატოვებდა და მორიგ მსოფლიო ჩემპიონატზე აღარ იასპარეზებდა.

მოგეხსენებათ, არგენტინასთან ერთად, ჯგუფში ისლანდია, ნიგერია და ფინალისტი ხორვატია იყვნენ, საიდანაც გასვლა კი მოახერხეს, მაგრამ მერვედფინალში, მომავალ ჩემპიონ საფრანგეთის ნაკრებთან ვერაფერს გახდნენ და ტურნირს დაემშვიდობნენ.

განვლილ მუნდიალზე, მესის აშკარად ეტყობოდა, რომ გარკვეულ მომენტებში, მთავარი მწვრთნელის მაგივრობასაც წევდა.

მესიმ ეროვნულ გუნდში, 128 შეხვედრაში 65 გოლი გაიტანა. 2008 წელს, ოლიმპიურ თამაშებზე საკუთარი ნაკრების ოქროს მედლის მოპოვებაში დიდი წვლილი შეიტანა, მაგრამ მას მაინც მუდმივად აკრიტიკებენ, რადგან მუნდიალი და კოპა ამერიკა ვერ მოიგო.

საბოლოოდ, როგორც აღმოჩნდა, მესი ნაკრებში გარკვეული დრო არ იქნება. ეს მაშინ, როდესაც არგენტინა ამხანაგურ შეხვედრებს ამერიკასთან, კოლუმბიასთან და ბრაზილიასთან გამართავს.

ვიმედოვნოთ, ეს გადაწყვეტილება დროებითია და 5-გზის ოქროს ბურთის გამარჯვებული, 2019 წელს, ბრაზილიაში გასამართ კოპა ამერიკაზე, საკუთარ ნაკრებს უკაპიტნებს.

შედეგები

14 აგვისტო

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

დინამო (კ)-სლავია	2:0
ბატე-ყარაბაღი	1:1
სპარტაკი-პაოკი	0:0
აეკი-სელტიკი	2:1
დინამო (ზ)-ასტანა	1:0
ვიდეოტონი-მალმიო	0:0
ფენერბახჩე-ბენფიკა	1:1
შკენდია-ზალცბურგი	0:1
აიაქსი-სტანდარდი	3:0
ტრნავა-ცრვენა ზვეზდა	1:2(დდ)

მოამზადა მანუელ ყორყოლიანმა

კუკესის პრეზიდენტი ტორპედოს დასჯას და დამარცხებას ითხოვს

უეფას ევროტურნირებს შემორჩენილი ერთადერთი ქართული კლუბი ქუთაისის ტორპედო ალბანურ კუკესისთან საპასუხო მატჩისთვის ემზადება. კახა ჩხეტიანის გუნდი 3 დღეა, ალბანეთშია და ჩვეულებრივად ვარჯიშობს კიდეც. გუნდი სრული შემადგენლობით არის წასული და დანაკარგის შესახებ არაფერი ისმის.

აი, მეტოქის რიგებში კი სრული ქაოსი და არეულობაა. თუმცა, სანამ მათ პრობლემებზე ვისაუბრებდეთ, მანამდე კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ალბანელთა პრეტენზიები, საქართველოში ვიზებთან დაკავშირებით რომ ჰქონდათ.

ალბანური მხარე უეფასგან ტორპედოს დასჯას ითხოვს. ამის შესახებ განცხადება კლუბის პრეზიდენტმა სტეფან გჯიჩმა გააკეთა:

– ჩვენ პროცედურების სრული დაცვით ვიმოქმედეთ. დავუკავშირდით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, მაგრამ ისინი გვატყუებდნენ. ისე ჩანს, რომ ამას განზრახ აკეთებდნენ. რეჯინალდოსა და მალოკუს ჩაყვანაში კი, ალბანეთის ფეხბურთის ფედერაცია დაგვეხმარა და არა ქართული მხარე. ჩვენ ვთხოვეთ უეფას, რომ ტორპედო დასაჯოს. არ გვინდა, ამით ჩვენი მარცხი გავამართლოთ, მაგრამ ქუთაისელების საქციელი ჩვენთვის ფსიქოლოგიურად ძალიან მძიმე იყო. შესაბამისმა ორგანოებმა აუცილებლად უნდა იმოქმედონ. ჩვენ ტორპედოსთან ოფიციალურ სადილზე არ დავსხდებით.

შეგახსენებთ, რომ კლუბების პირველ შეხვედრაში სავიზო პრობლემების გამო საქართველოში კუკესის რამდენიმე ფეხბურთელი ვერ ჩამოვიდა, რაშიც კლუბმა ქართული მხარე დაადანაშაულა

არადა, ქართულმა მხარემ ყველაფერი გააკეთა, რომ სტუმრები სრული შემადგენლობით ჩამოსულიყვნენ, პროცედურული მხარე თავად ალბანელებმა დაადგინეს, რის გამოც ვერ მოხერხდა მათ 2 ფეხბურთელზე ვიზის დროულად მიცემა. სავარაუდოდ, უეფა ტორპედოს არ დასჯის, მაგრამ ასეთი განცხადებების გამო, არაა გამორიცხული, თავად კუკესს გამოუწეროს სანქციები.

დავუბრუნდეთ არეულობას. როგორც ირკვევა, კუკესის რიგებში დაძაბული სიტუაციაა და რამდენიმე ფეხბურთელს გუნდის დატოვებაც კი სურს. არსებობს გარკვეული უთანხმოება მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის.

ალბანური ვებგვერდები წერენ, რომ მთავარმა მწვრთნელმა ცუნგუმ ახალი გუნდის ჩამოყალიბება მოინდომა და წინა მწვრთნელის, პიტერ პაკულტის კადრების მოცილება გადაწყვიტა, პლუს თავისი ფეხბურთელების მიყვანა სურდა.

საინტერესოა, რომ ცუნგუს კლუბის ლიდერ რეჯინალდოსთან თანამშრომლობა არ სდომებია, რომელიც ტორპედოსთან შეხვედრაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ცუნგუს თქმით, ბრაზილიელი მის ტაქტიკურ სქემაში ვერ ჯდება.

ალბანური გუნდიდან წასვლა რამდენიმე ფეხბურთელს უნდა. ისინი ტორპედოსთან შეხვედრას ელოდებიან, რის შემდეგაც კლუბს დატოვებენ. მათ რიგებში შედიან ჩვენებური ირაკლი ძარია, სებინო პლაკუ, ილი შამეტი, ბესარ მუსოლი, სიმონ როუნდერი და ალბი ალა. ყველა მათგანს კონტრაქტი უსრულდება და ხელმძღვანელობას ჯერ მათთან მოლაპარაკება არ დაუწყია.

ამ ფაქტით ცუნგუ უკმაყოფილო ყოფილა და პრეზიდენტისთვის განუცხადებია, ასე ალბანეთის ჩემპიონობისთვისაც ვერ ვიბრძოლებთო.

თავის მხრივ, გჯიჩმა სპორტული დირექტორი ნდერიმ ნეჩიპი და მწვრთნელი არმანდო ცუნგუ დაიბარა და თბილისში დიდი ანგარიშით მარცხის გამო პასუხი მოსთხოვა. გჯიჩი ძალიან უკმაყოფილო იყო გუნდის დაცვით და სამწვრთნელო შტაბით.

მწვრთნელს კი თავი იმით უმართლებია, გუნდი გადაღლილი იყო და შედეგი ამიტომ ვერ მივიღეთო.

თუმცა, ალბანელები მაინც იმედიანად არიან განწყობილნი. განსაკუთრებით მათი მწვრთნელი.

არმანდო ცუნგუ:

– პირველი მატჩის ანგარიშის გამო დასაკარგი არაფერი გვაქვს და თავიდანვე ტორპედოს მთელი ძალით შევუტევთ. იძულებულნი ვართ, ეს გავაკეთოთ. თუ გაგვიმართლა და პირველი გოლი მალევე გავიტანეთ, ჩვენი საქმე უფრო გაადვილდება.

გუნდმა 2 ახალი ფეხბურთელი კი დაიმატა – ადრიან კუკული და უმარ ტურე, მაგრამ ისინი ქართული გუნდის წინააღმდეგ ვერ ითამაშებენ, რადგან ამ ეტაპის განაცხადში გუნდებს ახალი ფეხბურთელების დამატების უფლება არ გააჩნიათ.

შეგახსენებთ, რომ 9 აგვისტოს, თბილისში, ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრაში, ტორპედომ ალბანელი მეტოქე 5:2 დაამარცხა და შემდეგ ეტაპზე გასვლის რეალური შანსი აქვს. საპასუხო მატჩი 16 აგვისტოს ქალაქ ელბასანის არენაზე გაიმართება.

16 წლამდე ნაკრები ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოლებს

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მერვედფინალური მატჩი თურქეთთან დათმო, პლეი ოფიდან გამოვარდა და ახლა ა დივიზიონში მე-9-16 ადგილებისთვის მოუწევს ბრძოლა. ჩვენი გუნდის მიზანი ელიტარულ დივიზიონში დარჩენა გახლდათ და გია კაზანჯიანის გაწვრთნილი გუნდისთვის რეალური ბრძოლაც ახლა იწყება. ა დივიზიონში მყოფი 16 გუნდიდან ელიტაში 13 რჩება, ბოლო 3 ადგილზე გასული გუნდები კი მომავალი სეზონისთვის ბ დივიზიონში დაქვეითდებიან.

არადა, საქართველოს ნაკრებმა თურქეთთან თამაში შესანიშნავად დაიწყო და პირველ პერიოდში მეტოქე დაჯაბნა. გიორგი ბიგანაშვილი შეუჩერებელი გახლდათ, რომელმაც 2 სამქულიანი, საჯარიმოები ჩააგდო, გარღვევაც ზუსტად დაადგინა და პირველი პერიოდის ბოლო წუთზე საქართველო 12 ქულით – 26:14 დააწინაურა. ქართველებს ბოლო წამებზე მეტოქის შეტევა გაეპარათ, ხოლო სირენის თანხლებით ჩაგდებული ბურთის წყალობით თურქებმა პირველი პერიოდი მხოლოდ 8 ქულით – 20:28 დათმეს.

მეორე პერიოდიდან თურქებმა ინიციატივა ხელთ იგდეს. დაცვა გაამაგრეს, მოედანზე ტურნირზე ერთ-ერთი ყველაზე ტანმაღალი მოთამაშე – 205 სანტიმეტრიანი ფურქან ჰალტალი გამოიყვანეს და სამწამიანშიც გამაგრდნენ. თუკი ააცილებდნენ, ჩვენი ოპონენტები ბურთს ხსნიდნენ და განმეორებითი შეტევებით იხვეჭდნენ ქულებს. ეს შედეგზე უმალ აისახა – თურქეთმა 18:2 გაქცევით დაიწყო მეორე პერიოდი და 38:30 დაწინაურდა.

გია კაზანჯიანმა პირველ ნახევარში გამოყოფილი ორივე წუთშესვენება შეალია მეტოქის გააქტიურების შენელებას, თუმცა საქმე მაინც ვერ გამოასწორა. თურქებმა განაგრძეს შედეგიანი თამაში და პერიოდის 33:11 მოგებით დიდ შესვენებაზე ხელჩასაჭიდი ლიდერობით გავიდნენ – 53:39.

მე-2 ნახევარში ქართველები ბევრს ეცადნენ, თუმცა ვითარების შეცვლა ვერ მოახერხეს. თურქებმა ლიდერობის შენარჩუნება ზედმეტი გართულებების გარეშე შეძლეს და საბოლოოდ 25 ქულით – 97:72 გაიმარჯვეს.

თურქებს ულიდერა კიდევ ერთმა 205-სანტიმეტრიანმა მოთამაშემ – ალპერენ შენგუნმა, რომელმაც 19 ქულა და 20 მოხსნა მოაგროვა. საერთოდაც, თურქების გამარჯვების უმთავრესი იარაღი მოხსნების სიმრავლე გახლდათ. მატჩის ბოლოს ამ კომპონენტში უდიდესი სხვაობა დაფიქსირდა. ქართველებმა 28 ბურთი მოხსნეს, თურქებმა კი – 66.

საქართველოს ნაკრებში საუკეთესო შედეგი აჩვენეს გიორგი ბაგანაშვილმა და ზურაბ ვაშაკიძემ – 16 ქულა.

თურქეთი მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ლატვიას შეხვდება, საქართველოს მომავალი მეტოქე კი ლატვიასთან მერვედფინალში 81:85 დამარცხებული ისრაელი იქნება.

შემდეგი მატჩის მოგება ა დივიზიონში დარჩენის ტოლფასია, რადგან ისრაელი-საქართველოს მატჩის გამარჯვებული ტურნირზე საუკეთესო 12 გუნდში ადგილს გაინაღდებს. დამარცხებული კი 13-16 ადგილებისთვის ბრძოლაში გადაერთვება. როგორც უკვე გითხარით, მე-13 ადგილი იქნება უკანასკნელი, რომლის დამკავებელი გუნდი ა დივიზიონში დარჩება.

10 ფეხბურთელი, ვისგანაც გაბრწყინებას ელიან

ევროპული მედია აქვეყნებს 10 ახალგაზრდა ფეხბურთელის სიას, რომელიც ამ სეზონში გაიბრწყინებს. ჩვენც ვნახოთ ვინ არიან ეს ფეხბურთელები და დაველოდოთ ექსპერტთა გადაწყვეტილებას.

ფერან ტორესი

ვალენსიას ფორვარდი ჯერ მხოლოდ 18 წლისაა, მაგრამ უკვე რეალისა და ბარსელონას რადარზე მოხვდა. ტორესი ესპანეთის 19-წლამდე ნაკრების წევრიცაა.

აბელ რუისი

ბარსელონას შემტევისგან ბევრს ელიან. ის ესპანეთის 17-წლამდე ნაკრების საუკეთესო ბომბარდირია, გაიტანა 27 გოლი.

ტიმოთი ვეა

ოქროს ბურთის მფლობელის, ჯორჯ ვეას ვაჟი. მას უკვე ნათამაშები აქვს აშშ-ის ეროვნულ გუნდში და ლიგა 1-ში სადებიუტო გოლის გატანაც მოასწრო. ის მხოლოდ 18 წლისაა.

ნიკოლო ბარელა

21 წლის ასაკში, კალიარის რიგებში, სერია ა-ში, უკვე 60 თამაშის ჩატარება მოასწრო. ვარაუდობენ, წელს შეუცვლელი ფიგურა იქნება.

ანდრეა პინამონტი

იტალიის 19-წლამდე ნაკრების წევრმა, უკვე მოასწრო ინტერში სადებიუტო შეხვედრის ჩატარება და იმედოვნებს, რომ მისი საყვარელი მოთამაშის, მაურო იკარდის, 9-ნომრიან მაისურს მოირგებს.

ჯონათან კლინსმანი

მორიგი ცნობილი ფეხბურთელის შვილი. ჯონათანი იურგენის გზას არ გაჰყვა და ფორვარდობას კარში დგომა არჩია. ის იმედოვნებს, რომ წელს, ჰერტას რიგებში, გერმანიის ბუნდესლიგაში სადებიუტო შეხვედრას გამართავს.

დაიო უპამეკანო

19 წლის ფეხბურთელს უკვე ეტყობა, რომ მომავალი ვარსკვლავია. ლაიპციგის რიგებში, ბუნდესლიგაში 36 თამაში აქვს ჩატარებული. ასევე, საფრანგეთის 21-წლამდელთა ნაკრების წევრიცაა.

აჩრაფ ჰაკიმი

ასაკის მიუხედავად, 19 წლის ნახევარმცველმა, მაროკოს ნაკრებთან ერთად, მუნდიალზე იასპარეზა. აჩრაფი, ამჟამად, დორტმუნდშია განათხოვრებული და იმედოვნებს, რომ ძირითადში ადგილს დაიბევებს.

მოისე კინი

იუვენტუსის შემტევი მხოლოდ 18 წლისაა, მაგრამ სერია ა-ში უკვე მოასწრო 20 შეხვედრაში 4 გოლის გატანა. ეს მაშინ, როდესაც ვერონაში გაანათხოვრეს. კინი იუვეში, ალბათ, არ დარჩება, მაგრამ დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

ვიქტორ იანსენი

დანიის 18-წლამდე ნაკრების წევრი აიაქსის ფეხბურთელია. მას კლუბში დებიუტი არ ჰქონია, მაგრამ, დიდი ალბათობით, შანსს მიმდინარე სეზონში მიიღებს.

ზიდანი მანჩესტერისკენ გაუშვეს



ფრანგული მედიის ინფორმაციით, ზინედინ ზიდანს სამწვრთნელო კარიერის გაგრძელება ინგლისში, კერძოდ კი, მანჩესტერ იუნაიტედის თავკაცის პოსტზე სურს.

46 წლის სპეციალისტმა მადრიდის რეალი ჩემპიონთა ლიგის ზედიზედ მესამედ მოგებიდან 5 დღის შემდეგ დატოვა. 2,5 წლის მანძილზე მან ასევე მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი და მსოფლიო საკლუბო ტურნირი 2-ჯერ, ახლა კი გეგმავს კარიერის ინგლისში გაგრძელებას.

მიუხედავად ფრანგი სპეციალისტის წარმოუდგენელი მიღწევებისა რეალში, ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ ზიდანი არ შედის მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელთა სიაში, ვინაიდან მან მხოლოდ ერთ კლუბში იმუშავა, მას არ ჩამოუყალიბებია ჩემპიონთა ლიგის 3-ჯერ ზედიზედ მომგები გუნდი, ჩემპიონთა ლიგის გარდა მისი მწვრთნელობის დროს გუნდი სხვა ტურნირებზე წარუმატებლობას განიცდიდა.

კრიტიკოსები ასევე მიიჩნევენ, რომ ზიდანმა რეალი სწორედ მაშინ დატოვა, როდესაც გუნდი რეორგანიზაციას საჭიროებდა და ამით სერიოზულ გამოცდას თავი აარიდა.

ჯერ გადაწყვეტილი არაფერია, თუმცა თუ გავითვალისწინებთ მოურინიოსა და იუნაიტედის არცთუ სახარბიელო ურთიერთობას, მომავალში მოვლენების მსგავსი კუთხით განვითარება გამორიცხული ნამდვილად არ არის.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

ერთგულ ძაღლს პატრონის საავადმყოფომდე გაცილების უფლება მისცეს

ჩინეთში სასწრაფო დახმარების ექიმებმა მანქანაში აიყვანეს ძაღლი, რომელიც თავის ავადმყოფ პატრონს გვერდიდან არ სცილდებოდა.

აღნიშნული შემთხვევა პროვინცია ხეილუნციანის ქალაქ დაცინში მოხდა. გოგონამ, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა, ქუჩაში თავის ოქროსფერ რეტრივერთან ერთად სეირნობის დროს გონება დაკარგა. გამვლელებმა სასწრაფო გამოიძახეს. მთელი ამ ხნის მანძილზე ძაღლი პატრონს გვერდიდან ერთი წამითაც კი არ მოსცილებია.

შემთხვევის ადგილზე მისულმა ექიმებმა გოგონა საკაცეზე დააწვინეს, ძაღლი გარშემო დარბოდა, უკანა თათებზე დგებოდა და ცდილობდა პატრონს მისწვდომოდა. ცხოველის ერთგულებით გულაჩუყებულმა ექიმებმა მას სასწრაფო დახმარების მანქანაში ასვლის და პატრონის საავადმყოფომდე მიცილების უფლება მისცეს. სანამ ექიმები გოგონას ეხმარებოდნენ, ძაღლი დაცვის თანამშრომელს ჰყავდა ჩაბარებული.

როდესაც გოგონა გონს მოვიდა, სიხარულისგან წამოიყვირა და თავის ერთგულ ძაღლს ჩაეხუტა.

ბეჰემოთმა ტურისტი სასიკვდილოდ დააშავა

კენიაში დაიღუპა ჩინელი ტურისტი, რომელიც ბეჰემოთისთვის სურათის გადაღებას ცდილობდა. ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემის ცნობით, ცხოველმა ტურისტი დაგლიჯა.

ინციდენტი ტბა ნაივაშას მახლობლად მოხდა. 66 წლის ჩინელი ჩან მინ ჩუანი თავის მეგობრებთან ერთად სასტუმროს მახლობლად ცხოველებს სურათებს უღებდა, როდესაც მას ერთ-ერთი ბეჰემოთი თავს დაესხა და მკერდში უკბინა, მამაკაცი, რომელიც სისხლისგან იცლებოდა, დაუყოვნებლივ გადაიყვანეს საავადმყოფოში, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ველარ მოახერხეს. მისი მეგობარი 62 წლის უ პენ ტე მსუბუქი ჭრილობებით გადარჩა.

შემთხვევის თვითმხილველმა ჯეიმს ომოლომ აღნიშნა, რომ ჩანი მეტისმეტად ახლოს მივიდა ცხოველთან და სავარაუდოდ სწორედ ეს გახდა ბეჰემოთის თავდასხმის მიზეზი. ტბის მენავეთა ასოციაციის თავმჯდომარემ ნაივაშა დევიდ კილომ განაცხადა, რომ წყლის დონის აწევაც ასევე კიდევ უფრო აგრესიულებს ხდის ბეჰემოთებს, ვინაიდან მათ საკვების მოსაპოვებლად ნაპირზე ამოსვლა უწევთ.

ბუნების დაცვის საზოგადოების თანამშრომლები მკვლელ-ბეჰემოთს ეძებენ. აღსანიშნავია, რომ ჩანი მეექვსე ადამიანია მიმდინარე წლის დასაწყისიდან, რომელიც ტბა ნაივაშაზე ბეჰემოთის თავდასხმის შედეგად დაიღუპა.

კიმ კარდაშიანის ფიგურით გატაცებული მოსწავლე ბიჭი დიდმკერდიან გოგონად გადაიქცა



ბრიტანელმა მოზარდმა სქესის შესაცვლელად ჰორმონალური თერაპიის ჩატარება დაიწყო, რათა ტელევარსკვლავ კიმ კარდაშიანს დამსგავსებოდა.

ორი წლის წინ ყმაწვილი, სახელად ტაილერი, ზაფხულის არდადეგებიდან სკოლაში გოგონას სახით დაბრუნდა და განაცხადა, რომ ამიერიდან მისთვის კაირა კელი დაეძახათ. მას შემდეგ ტრანსგენდერმა 14,7 ათასი ფუნტი სტერლინგი დახარჯა კოსმეტიკურ პროცედურებზე, ტანსაცმელსა და კოსმეტიკაზე და ახლა უკვე თავს „სრულფასოვან გოგონად მიიჩნევს“.

მან აღიარა, რომ ყოველთვის მხოლოდ გოგონებთან მეგობრობდა და მათი გარეგნობის შურდა, ახლა კი თავს ერთ-ერთ მათგანად მიიჩნევს. კელი უახლოეს ორ წელიწადში სქესის შეცვლის ოპერაციის გაკეთებას აპირებს. ჯერჯერობით კი ჰორმონალური თერაპიის მოსამზადებელ კურსს გადის. წამლების გამო მას დიდი მკერდი გამოეზარდა, ხოლო სახიდან წვერ-ულვაში გაუქრა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

16 აგვისტოსთვის

ვერძი – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა იღბლიანია. ორგანიზებულობა და სითამამე დღის დევიზია. **კურო** – ილუზიებს ნუ აჰყვებით. საღი აზრი შეინარჩუნეთ. შორს გამგზავრება რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – ახლობლები იმედს გაგიცრუებენ. პროფესიაში უკუსვლაა მოსალოდნელი. **კირჩხიბი** – დაისვენეთ, შეიცვალეთ გარემო. ახალი საქმის დასაწყებად ენერგია გჭირდებათ. **ლომი** – იდეების რეალიზებაში კოლეგები დაგეხმარებიან. შესაძლოა, დაგასაჩუქრონ. **ქალწული** – გარისკვა დღეს სასურველ შედეგს გამოიღებს. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. **სასწორი** – არაჯანსაღი გარემო, საკვები და ინერტულობა ჯანმრთელობას გაგიუარესებთ. ფიზიკური დატვირთვა დღეს სავალდებულოა. **ღრიანკალი** – რომანტიკული შეხვედრა ხასიათს გამოგიკეთებთ. ეცადეთ, დღეს ნაკლები იმუშაოთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ კომერციულ გარიგებებსა და საქმიან შეხვედრებს. უმჯობესია, ეს დღე ოჯახურ ატმოსფეროში გაატაროთ. **თხის რქა** – ოფიციალურობა და სიხისტე არასასურველია. იყავით გულმოწყალე და მიმნდობი. **მერწყული** – სრულყავით პროფესიონალიზმი, შეისწავლეთ ახალი საქმე. სულიერებაზეც იზრუნეთ. **თევზები** – სოლიდური ორგანიზაციები თქვენ მიმართ ინტერესს ავლენენ. ეცადეთ, საკუთარი ნიჭი და უნარი ფართოდ წარმოაჩინოთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

კროსვორდი ბ



შვეულად: 1. ონორე დე ბალზაკის ცნობილი მოთხრობა; 2. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. ხმამაღალი ხვეწნამუდარა; 4. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 5. ირანის შაჰის კარზე მოღვაწე მე-17 საუკუნის ქართველი მხატვარი; 8. ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება სასამართლოში; 12. ალპურ ზონასა და უღრან ტყეებში ბინადარი ქათმისებრთა ოჯახის ფრინველი; 13. იტალიური კომედიური თეატრის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; 14. ჩანჩქერი არგენტინაში; 16. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 18. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 20. ღვინის მწარმოებელი ამერიკული ფირმა.

თარაზულად: 6. ხმის ჩანაწერების არქივი; 7. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 8. მზის სისტემის პლანეტა; 9. ფულის ერთეული ყაზახეთში; 10. ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი სტატია, პუბლიკაცია; 11. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 16. ამერიკელი ჯაზმენი; 17. პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 19. კუნძულოვანი სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 21. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია; 22. ქალის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა; 23. უღელტეხილი აჭარაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პეპსი; 2. ინდიგო; 4. ტოსტერი; 5. ტაბორი; 6. რენტგენი; 7. მიუზიკლი; 10. შკოდა; 12. ფერხისა; 13. მენზულა; 16. ჰიმენე; 17. მანდილი; 18. კასიკი; 19. ბაწარა; 21. კურსი.

თარაზულად: 3. ფელეტონი; 8. მელასა; 9. სეიდებადი; 11. კრუიზი; 12. ფაკირი; 14. ნერუდა; 15. სტენდალი; 20. სოკარი; 22. სუმატრა; 23. ქადა; 24. ტრაპეცია; 25. ჯაკო; 26. შულერი; 27. მარსი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მაესტრო; 2. ჰიპოთეზა; 3. საფარა; 4. ტუსკი; 5. ქოლერიკი; 8. სავოიარი; 12. დანი; 13. ჰონოლულუ; 14. ისრიმი; 16. მარიჯანი; 18. კოლიე; 20. ოსლო.

თარაზულად: 6. ფართინგი; 7. წყალტუბო; 8. სუდოკუ; 9. სტელა; 10. სენეგალი; 11. შვიდეული; 15. ზომერჰოისი; 17. ქიმერა; 19. მონოციკლი; 21. მურტალო; 22. ბუდაპეშტი; 23. როლექსი.

თეონა კონტრიძე ბათუმში იმღერებს

თეონა კონტრიძე ბათუმში ჩამოვა და 18 აგვისტოს თავის ბენდთან ერთად კონცერტს გამართავს.

მომღერალი, რომელიც წლებია რუსეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს, საქართველოში ჩამოსვლის შანსს არასდროს უშვებს ხელიდან.

თეონა „ორი ვარსკვლავის“ ჟიურის წევრიც იყო და თავისი მოსაზრებებით, ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნაც არაერთხელ დაიმსახურა.

მომღერალი, რომელიც რუსეთში განსაკუთრებულად უყვართ, ახლა ბათუმს ეწვევა და თავის მუსიკოსებთან ერთად აჭარაში შეკრებილი მსმენელისთვის იმღერებს. მომღერალმა სპეციალური საკონცერტო პროგრამაც მოამზადა, რომელიც მრავალფეროვანი და ყველა თაობის მსმენელზეა გათვლილი.

ევროპულ ხელნაწერებში არსებული ინფორმაციები კოლხეთის შესახებ წიგნად გამოიცემა

ისტორიკოსი გიორგი კალანდია თანამოაზრეებთან ერთად ინგლისსა და ირლანდიაში საქართველოს შესახებ უცნობი ისტორიული წყაროების წიგნად გამოცემას აპირებს:

– უცნობი ისტორიული წყაროები ინგლისიდან და ირლანდიიდან – „ტიუდორების არქივი“ – ხელოვნების სასახლის სამეცნიერო პროექტი, რომელიც რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა.

სულ მალე მართლაც უნიკალური დოკუმენტებისა და ვიზუალური მასალის შესანიშნავი, მანამდე უცნობი კოლექცია გამოქვეყნდება, რომლებიც საქართველოს ისტორიის შესახებ ბევრ ახალ და საინტერესო ფაქტს გვიყვება.

ელისაბედ პირველი, ჰენრი მერვე, მარიამ ტიუდორი იმდროინდელი საქართველოს შესახებ. კოლხეთი მე-14-15 საუკუნეების ევროპულ ხელნაწერებში, ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია ამ დიდი პროექტისა.

ვამაყობ, რომ ამ პროექტში ჩვენი მუზეუმის თანამშრომლები არიან ჩართულნი, განსაკუთრებით მიხარია ახალგაზრდა მეცნიერის, ლონდონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის თორნიკე კოპლატაძის მონაწილეობაც.

მოკლედ, სულ მალე, მათ, ვისაც უყვარს საქართველოს ისტორია, შესანიშნავ გამოცემას შევთავაზებთ.

ალექსანდრე ხომერიკი 70 წლის გახდა

ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი ვარსკვლავი და არაერთი თაობის აღმზრდელი ალექსანდრე ხომერიკი 70 წლის გახდა. იუბილე მან მეგობრებთან ერთად რესტორან „ლორდში“ აღნიშნა. საიუბილეო სუფრას გივი სიხარულიძე თამადობდა, იუბილარი კი მეგობრებთან ერთად სასიამოვნო ისტორიებს იხსენებდა და საოპერო არიებსაც მღეროდა.

ალექსანდრე ხომერიკის იუბილესთვის გივი სიხარულიძემ წიგნი დაწერა, რომელსაც „აბესალომიდან ოტელომდე“ უწოდა. კრებულში მოგონებები და ნოველებია გაერთიანებული.

როგორც იუბილარი აღნიშნავს, მსმენელი და მაყურებელი მას არასდროს აკლდა და მათი მხარდაჭერით მაქსიმალურად მუშაობდა:

– მსმენელი და მაყურებელი მე არასოდეს არ მაკლდა და მათი მხარდაჭერა ყოველთვის იყო საოცარი აღმაფრენი და შემოქმედებითი წარმატების საოცარი მუხტი, ამიტომ მადლობა ყველას, ვინც მხარს მიჭერდა და მიჭერს ტაშით და ოვაციით.

მომღერლებს, მსახიობებს, ექიმებს ძალიან ვთხოვ, რომ თავისი საქმეები აკეთონ, საქმე, რომელიც მათ შესანიშნავად ხელეწიფებათ. მომღერლებმა იმღერეთ, მწერლებმა წერეთ, ექიმებმა იექიმეთ, პოლიტიკოსებმა მიხედონ ძალიან რთულ მდგომარეობაში მყოფ ჩვენს პოლიტიკას. ეს არის ჩემი უმორჩილესი თხოვნა. არ იფიქროთ, რომ მე ძალიან კატეგორიული ვარ, მაგრამ მე მგონი, ასე აჯობებს ჩვენი ბედკრული ქვეყნისთვის და დარწმუნებული ვარ, თუკი ჩვენ

ყველა ჩვენს საქმეს საშუალოდ მაინც გავაკეთებთ, ჩვენი ქვეყანა გაბრწყინდება.

ოთარ მაღრაძის ჯაზ სექსტეტი პოლონეთში მიიწვიეს

ოთარ მაღრაძის ჯაზ სექსტეტი პოლონეთში, გდანსკის მუსიკალურ საერთაშორისო ფესტივალზე მიიწვიეს. „მოცარტიანა“ – ასე ეწოდება ფესტივალს, რომელშიც ქართველი მუსიკოსი მიიღებს მონაწილეობას.

ოთარ მაღრაძის ჯაზ სექსტეტის შემადგენლობაში არიან პიანისტი ოთარ მაღრაძე, ბას გიტარისტი გიორგი სამსონაძე, საქსოფონისტი კახი ჯაგაშვილი, დრამერი ვალერი ფაილოძე და ვოკალისტები გიორგი სუხიტაშვილი და მაია ბარათაშვილი.

ფესტივალისთვის მუსიკოსები და მომღერლები საინტერესო და ორიგინალურ პროგრამას ამზადებენ;. პირველ ნაწილში იქნება ჯაზ ვარიაციები მოცარტის თემაზე, რომელსაც ოთარ მაღრაძის კვარტეტი წარადგენს, ხოლო მეორე ნაწილში კვარტეტს ვოკალისტები შეუერთდებიან და შეასრულებენ დავით თორაძის ფოსტალიონის სიმღერას ფილმიდან „დღე პირველი დღე უკანასკნელი“, ოთარ მაღრაძის „თათრის მეიდანს“, არჩილ კერესელიძის „კოკობო ვარდოს“ და ოთარ მაღრაძის „რიწის ხეობას“. ყველა ნაწარმოების არანჟირებაზე ოთარ მაღრაძემ იმუშავა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

„აგვისტოს ომმა პუტინს ავკაცის სახელი დაუმკვიდრა, თუმცა მისი ხელისუფლებაც განამტკიცა“

სან-პაულოს გაზეთ „სანპაულოს ფურცლებში“ გამოქვეყნებულ სტატიაში განხილულია საქართველო რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ომის მიზეზები, საომარი მოქმედებების მიმდინარეობა და ფინალი. პუბლიკაციაში გადმოცემულია აგრეთვე ქართველი ყოფილი სამხედრო მოსამსახურის ზურაბ გუჩაშვილის ნაამბობი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა ომში, დაიჭრა და მკურნალობდა.

– ათი წლის წინათ ზურაბ გუჩაშვილი, რომელიც ფრონტის ხაზთან ახლოს, მცხეთის საავადმყოფოში იწვა და ბრძოლაში მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდა, გააღვიძეს და უთხრეს, რომ ომი დამთავრებულიაო. „სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ჩემი ქვეყანა არასოდეს არ გახდება დასავლეთის ნაწილი, – ჰყვება იგი. იმ დროს ზურაბ გუჩაშვილი 20 წლის ახალგაზრდა იყო და კავკასიური სახელმწიფოს დედაქალაქში – თბილისში მსახურობდა, რომელსაც რუსეთის ჯარების მიერ დაკავების საფრთხე დაემუქრა.

ევროკავშირის შუამდგომლობით ხელმოწერილი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და მხარეთა დაშორიშორების თაობაზე, რომელიც ძალაში სამხედრო კონფლიქტის მეხუთე დღეს შევიდა, საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების გარანტიას აძლევდა, მაგრამ მას სუვერენიტეტი ძალიან ძვირად დაუჯდა: ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 20% მოსკოვის მიერ დამოუკიდებლად აღიარებული სეპარატისტული რესპუბლიკების ხელში აღმოჩნდა. გარდა ამისა, დაიღუპა ათასზე მეტი ადამიანი, მათ შორის – 400 მშვიდობიანი მცხოვრები, 200 ათასი კი უსახლკაროდ დარჩა.

2008 წლის აგვისტოსთვის ვლადიმერ პუტინს რუსეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი ეკავა, მას უკვე პრეზიდენტობის პირველი ვადა გავლილი ჰქონდა, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი იყო, რეალურად ქვეყნის მეთაურად მაინც ვლადიმერ პუტინი მოიაზრებოდა, მთელი ძალაუფლება მაინც „სერიული მკვლელის“ ხელში იყო.

2008 წლის აგვისტოდან დაწყებული, ვლადიმერ პუტინმა პრაქტიკაში აჩვენა, რომ იგი აშშ-სა და ევროპის ინიციატივებს და პოლიტიკას აღარ ენდობა. საქმე ისაა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი – ნატო აღმოსავლეთით არ უნდა გაფართოებულიყო, მაგრამ პირიქით მოხდა: ალიანსმა თანდათან ჩაყლაპა ჯერ აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნები, შემდეგ კი უკვე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები (ბალტიისპირელები). უკვე 2006 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვი (იგი დღესაც ამ პოსტს ინარჩუნებს) ჩვენ გაზეთთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ალიანსმა ასეთი მოქმედებით დაუშვებელი ნაბიჯი გადადგაო, ნატომ ფლირტი უკვე საქართველოსაც დაუწყოო, რომელიც რუსეთს სამხრეთიდან ეკვრის. ცხადია, მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ორი წლის შემდეგ ვლადიმერ პუტინის მთავრობა სიტყვიდან საქმეზე გადავიდოდა.

რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირებაში პატარა საქართველო მოსკოვისათვის იდეალური „მოწინააღმდეგე“ აღმოჩნდა. 2003 წლის ბოლოს მომხდარი ფერადი რევოლუციის შედეგად საქართველოში ედუარდ შევარდნაძის პრომოსკოვური ხელისუფლება დაემხო და ქვეყნის ახალ პრეზიდენტად ოპოზიციის მგზნებარე ლიდერი მიხეილ სააკაშვილი აირჩიეს. იგი დასავლეთის მომხრე იყო და პრორუსული ავტონომიური სეპარატისტული რეგიონების – აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დაბრუნება პრიორიტეტულ ამოცანად დაისახა. პრეზიდენტმა ამ მიზნით ნატოსთან თამაში დაიწყო. მიხეილ სააკაშვილმა აშშ-სთან იმდენად მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა, რომ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ჯორჯ ბუშის სახელი დაარქვა (აქვე ვიტყვით, რომ საქართველოს ზოგიერთ ქალაქში კვლავ არსებობენ იოსებ სტალინის ქუჩები – როგორც საბჭოთა დიქტატორის საქართველოსთან კავშირის სიმბოლოები).

2008 წლის ომის შედეგად რუსეთმა საქართველოს ორივე სეპარატისტულ რეგიონთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა და მათ აქტიურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ფინანსურ დახმარებას უწევს – მიუხედავად იმისა, რომ გაერო ორივეს ისევ საქართველოს ნაწილად თვლის. მოკლედ, თბილისისა და მოსკოვის დაპირისპირება კვლავ არსებობს.

2008 წლის 7 აგვისტოს ზურაბ გუჩაშვილმა პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო: „რუსები ჩვენ პირველები დაგვესხნენ, – მეუბნება იგი თარჯიმნის მეშვეობით. ამასთან, მოსკოვი მოვლენების საკუთარი ვერსიის ერთგულია, რომლის თანახმად, აგრესორის როლში მიხეილ სააკაშვილი გამოდის. საქართველოში დღემდე მიდის მძაფრი დისკუსიები, იყო თუ არა ეს ომი პროვოკაცია, მაგრამ დადასტურებული ფაქტია, რომ საჯარისო საბრძოლო ოპერაცია პრორუსული სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ პირველმა საქართველომ დაიწყო.

როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილი რუსეთის პასუხს ასეთი მასშტაბით არ ელოდა. მეორე დღესვე საქართველო აქტიურად დაიბომბა რუსული ავიაციის მიერ, საბრძოლო მოქმედების ადგილზე კი სწრაფად იქნა გადასროლილი 70 ათასი რუსი ჯარისკაცი... ომის შედეგად მიხეილ სააკაშვილმა დაკარგა საქართველოს შავი ზღვის სამხედრო ფლოტი, ხოლო რუსეთის სახმელეთო ძალებმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დაიკავეს, მათ შორის ის ტერიტორიებიც, რომლებსაც ადრე საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებდა. თუმცა, რასაკვირველია, ომში დანაკარგები რუსეთმაც განიცადა, მათ შორის ავიაციის სფეროშიც: ქართველებმა ხუთი რუსული თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ამ ომმა პოზიტიურად იმოქმედა რუსეთის არმიაზე: დაიწყო სამხედრო რეფორმა, გაიზარდა სამხედრო ბიუჯეტი... ამ დროს კი დასავლეთი ფინანსური კრიზისს განიცდიდა და „ტერორისტთა წინააღმდეგ“ დაწყებულ ძვირადღირებულ ომში იყო ჩაბმული.

2008 წლის ომმა აჩვენა, რომ რუსეთმა მსოფლიოში თავისი სტატუსი აღიდგინა და დასავლეთი აიძულა მისთვის ანგარიში გაეწია. სავარაუდოდ, მოსკოვი ასეთ პოლიტიკას მომავალშიც გააგრძელებს“, – წერდა იმ ხანებში ამერიკული „სტრატფორი“. მართლაც, თითქმის იგივე განმეორდა 2014 წელს უკრაინასთან მიმართებით. მოგვიანებით, 2015 წელს რუსეთმა თავისი ამბიცია აჩვენა სირიის კრიზისშიც: ვლადიმერ პუტინმა დაღუპვის პირას მდგარი ბაშარ ასადი გადაარჩინა.

გასულ კვირაში გაზეთ „ვაშინგტონ პოსტ“-ში დაიბეჭდა კონდოლიზა რაისის სტატია, რომელიც 2008 წელს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი იყო. იგი ამტკიცებს, რომ საბოლოო ჯამში სწორედ ვაშინგტონმა შეუშალა ხელი საქართველოს სრულ ანექსიას, სწორედ ამერიკის დახმარებით შეინარჩუნა საქართველომ დამოუკიდებლობაო. „ეს სამწუხარო ისტორია იყო და ალბათ, ვლადიმერ პუტინმა მისგან მცდარი დასკვნები გააკეთაო“, – წერს კონდოლიზა რაისი. შეიძლება ასეცაა, მაგრამ, როგორც ყოფილი რიგითი ზურაბ გუჩაშვილი ამბობს – იგი დღეს ტურისტულ სააგენტოში მუშაობს – საქართველომ დღემდე ვერ მოახერხა დასავლური ინსტიტუტების მშენებლობა, რუსეთი კი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ყოფნას აგრძელებს. რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, მან ვერ შეძლო საქართველოს ხელისუფლებაში დარჩენა. ასევე წარუმატებელი აღმოჩნდა მისი პოლიტიკური საქმიანობა უკრაინაშიც. დღეს იგი მოქალაქეობის არმქონე პირია.

რუსეთი, თავის მხრივ, მართალია, ეკონომიკური სანქციების მარწუხებშია მოქცეული, თუმცა რეჟიმმა გაუძლო ორწლიან რეცესიას და ნავთობზე ფასების ვარდნას. ვლადიმერ პუტინი ისევ პრეზიდენტად აირჩიეს 2024 წლამდე. რუსეთმა საქართველოზე შური იძია და მისი პროდასავლური განვითარების სცენარი დაარღვია, ანუ საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანების პროცესი გაიყინა.

სამგლოვიარო განცხადებები

მარინა ცქიტიშვილი, სოსო კვიციანი ოჯახით იუწყებიან ახლო მეგობრის

დიმიტრი (მიტუშა) ლეთოდიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის 1962 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან

დიმიტრი (მიტუშა) ლეთოდიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

16 აგვისტოსთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ
დოლარი
— 2.6343

ევრო
— 3.0047

ინგლისური გირვანქა
სტერლინგი
— 3.3645

100 რუსული
რუბლი
— 3.9453

ამინდის პროგნოზი 16 აგვისტოსთვის



„ღამის სერენადები“ უცხოეთში მოღვაწე ქართველ ვირტუოზებს გააერთიანებს

X საიუბილეო საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“ 26 აგვისტოს საზეიმოდ ბათუმში სასტუმრო „შერატონის“ საკონცერტო დარბაზში გაიხსნება.

2 და 4 სექტემბერს კი თბილისში ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩატარდება.

„ღამის სერენადების“ სამხატვრო ხელმძღვანელები ლიანა ისაკაძე და გიორგი ისაკაძე არიან.

წლევანდელი საიუბილეო ფესტივალის საკონცერტო საღამოებზე მსოფლიო კლასიკის შედევრებს შეასრულებენ ცნობილი მუსიკოსები, პიანისტი ალექსანდრე კორსანტია, დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი, მევიოლინე გია იაშვილი, მევიოლინე გეზა ჰოსზუ ლეგოცკი, გიტარისტი სოფია ბოროსი, ბანდონეონისტი მარიო სტეფანო პიეტროდარჩი, კომპოზიტორი იოსებ ბარდანაშვილი...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასი ათას ფუნტად ნაყიდი სურათი იაფფასიანი ნაწარმოები აღმოჩნდა

ბრიტანელი ქალბატონის მიერ ასი ათას ფუნტზე მეტად ნაყიდი ცნობილი მხატვრის ნახატი სინამდვილეში მისი მოსწავლის იაფფასიანი ნამუშევარი გამოდგა.

პატრისია რიდმა ნატიურმორტი, რომელზეც მინის დოქი და თეფშებზე დალაგებული ორი მსხალია გამოსახული, 165 ათას ფუნტ სტერლინგად შეიძინა. გამყიდველმა ის დაარწმუნა, რომ ნახატი ცნობილი მხატვრის უილიამ ნიკოლსონის ფუნჯს ეკუთვნოდა. აღსანიშნავია, რომ ნატიურმორტი მხატვარის ყველა ცნობილი ნამუშევრების სიაში არ შედიოდა და ამიტომ ქალმა გადაწყვიტა, ის ექსპერტებისთვის ეჩვენებინა.

ფერწერის ექსპერტმა ჯონ მაიატმა, რომელიც ადრე ციხეშიც კი იჯდა სურათების, მათ შორის ნიკოლსონისაც, გაყალბებისთვის, აღნიშნა, რომ მას ეს ნატიურმორტი არ დაუხატავს. ექსპერტიზამ აჩვენა, რომ საღებავები, რომლებიც ნახატის შექმნის დროს იქნა გამოყენებული, სინამდვილეში მართლაც ცნობილ მხატვარს ეკუთვნოდა. ნახატის უკანა მხარეზე წარწერაც შესაძლოა თავად ნიკოლსონისაა.

თუმცა ექსპერტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მათ არ აქვთ იმის საკმარისი საფუძველი, რომ სურათის შემქმნელად ნიკოლსონი გამოაცხადონ. დიდი ალბათობით ის მისმა მოყვარულმა მოსწავლემ დახატა, რომელსაც ის 1930-იან წლებში ასწავლიდა. სხვათა შორის, მისი ერთ-ერთი მოსწავლე ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილიც იყო.

გაღატაკებულმა მილიონერმა ერთადერთი მეგობარიც დაკარგა

გაკოტრებული ავსტრალიელი მილიონერი დევიდ გლეშინი, რომელიც 20 წელზე მეტია უკაცრიელ კუნძულზე ცხოვრობს, თავისი ერთადერთი მეგობრის, მოშინაურებული დინგოს, სახელად პოლის გარეშე დარჩა.

ტურისტული კომპანიის დამაარსებლის ალვარო სერესოს თქმით, რომელიც გლეშინს შეხვდა, პოლის დაღუპვის ამბავი ათი დღის წინ შეიტყო. 75 წლის განდეგილმა ძაღლი თათზე გველის ნაკბენით და პირზე დუჟმომდგარი აღმოაჩინა.

პოლი სამი წლის იყო. გლეშინმა დინგო თავისი ძაღლის, სახელად კვაზის დაღუპვის შემდეგ მოიშინაურა. ის მრავალი წლის მანძილზე მისი ერთადერთი მეგობარი იყო და ისიც შხამიანი გველის ნაკბენისგან დაიღუპა.

1980 წელს გლეშინი სათავეში ედგა კომპანიას, რომელიც პაპუა-ახალგვინეაში ოქროს მოიპოვებდა. 1987 წელს, საბირჟო კრახის შემდეგ, მან მრავალმილიონიანი ქონება დაკარგა და რამდენიმე წლის შემდეგ ავსტრალიის მახლობლად მდებარე პატარა კუნძულზე გადავიდა საცხოვრებლად, სადაც მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ნაგებობა დაიკავა. ის წელიწადში ერთხელ მატერიკზე მაღაზიაში ყიდულობს პროდუქტებს, ხოლო დანარჩენ დროს მარტოობაში ატარებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

მიყრუებული სოფლიდან დედაქალაქში პირველად ჩამოსული მამა-შვილი ლიფტის წინ პირდაღებულები დგანან. ამ დროს ლიფტთან დაბალი, მსუქანი ქალი კოჭლობით მივიდა, ღილაკს თითი დააჭირა, ლიფტის კარი გაიღო და ქალი შიგნით შევიდა. ლიფტი დაიძრა. გარკვეული დროის შემდეგ ლიფტის კარი იღება და იქიდან ულამაზესი, მაღალფეხებიანი, ქერათმიანი გოგონა გამოვიდა. გაოგნებულმა მამამ პირდაღებულ შვილს თავში ხელი წამოარტყა და ეუბნება:

– ჩქარა, გავარდი და დედაშენი აქ მომიყვანე!

●●●

მელოტი მამაკაცი აფთიაქარს ეკითხება:

– თმების ამოსაყვანი რაიმე საშუალება თუ გაქვთ?

– აი ეს ფლაკონი აიღეთ. ეს ყველაზე ეფექტური საშუალებაა.

– დარწმუნებული ხართ?

– აბსოლუტურად. აგერ იმ ულვაშებიან ადამიანს, სალაროსთან რომ დგას, ხედავთ?

– დიახ.

– ჩემი ცოლია. ულვაშები მას შემდეგ ამოუვიდა, როდესაც ამ ფლაკონის კბილებით გახსნა სცადა.

●●●

ქალი მეზობელ მოხუც მამაკაცს ეკითხება:

– აი, ვხედავ, რომ ბაღში თქვენი პომიდორები ძალიან მალე დამწიფდა. ჩემი კი ჯერ ისევ მწვანეა და თუ საიდუმლო არ არის, ხომ ვერ მასწავლით, ამას როგორ მიაღწიეთ?

– სულ უბრალოდ, დღეში ორჯერ, დილას და საღამოს, პომიდორების წინ სრულად ვშიშვლდები და ისინი მორცხვობისგან წითლდებიან.

ქალმა მამაკაცის ნათქვამი დაიჯერა და იგივე შედეგის მისაღწევად მისი რჩევა გაითვალისწინა. ორი კვირის შემდეგ მამაკაცი დაინტერესდა, თუ როგორ ჰქონდა საქმე მეზობელ ქალბატონს და ეკითხება:

– აბა, როგორაა საქმე?

– ცუდად, მაგრამ თქვენ უნდა ნახოთ, რამხელები გახდნენ ჩემი კიტრები.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

სერხიო რამოსი: „რონალდოს წასვლას როგორმე გადავიტანთ“

მადრიდის რეალის ერთ-ერთმა ლიდერმა სერხიო რამოსმა კრიშტიანო რონალდოს წასვლაზე ისაუბრა და თქვა, რომ რეალი რონალდოს გარეშეც ძლიერი იქნება.

რამოსის აზრით, რეალში ბევრი უმაღლესი დონის ფეხბურთელი თამაშობს, რომლებსაც შეუძლიათ ამ გუნდს გამარჯვებები მოუტანონ.

– რონალდო შესანიშნავი მოთამაშეა და მისი წასვლა ჩვენთვის სასიამოვნო არ არის, მაგრამ მის გარეშეც რეალში ბევრი ძლიერი ფეხბურთელი თამაშობს და ჩვენ გამარჯვებული გუნდის მენტალიტეტი გვაქვს. რეალი რონალდოს გარეშეც განაგრძობს წარმატებულ სვლას, – განაცხადა სერხიო რამოსმა.

ბარსელონა რაბიოს თავს არ ანებებს

ბარსელონა ისევ ცდილობს პსჟ-ს ფრანგი ნახევარმცველის ადრიან რაბიოს ყიდვას, მიუხედავად იმისა, რომ პსჟ-მ ბარსელონა უარით გაისტუმრა.

მდგომარეობა მას შემდეგ შეიცვალა, რაც რაბიომ პსჟ-სთან ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარი თქვა და მომავალ წელს მან შესაძლოა გუნდი თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვოს. ამიტომ შესაძლოა პსჟ-მ რაბიო წელს გაყიდოს და ფრანგი ფეხბურთელი ბარსელონაში აღმოჩნდეს.

ბარსელონა მზად არის, ამ ტრანსფერში 40 მილიონი ევრო გადაიხადოს.

სპალეტი: „მოდრიჩის ინტერში გადმოსვლა ჩემი ოცნებაა“

ინტერის მთავარმა მწვრთნელმა ლუჩიანო სპალეტიმ ლუკა მოდრიჩზე ისაუბრა და თქვა, რომ მოდრიჩის ინტერში გადასვლა ყველა ინტერის გულშემატკივრის ოცნებაა.

სპალეტის აზრით, მოდრიჩის ტრანსფერის განხორციელება რეალურია.

– მოდრიჩის ხილვა გუნდში ჩემი ოცნებაა და ვფიქრობ, ეს ოცნება შეიძლება ასრულდეს. ჩვენს გულშემატკივრებს სურთ, რომ თავიანთ გუნდში მოდრიჩის დონის ფეხბურთელი იხილონ, – განაცხადა სპალეტიმ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოდრიჩს სურს ინტერში გადასვლა, მაგრამ რეალი მის ტრანსფერში 700 მილიონ ევროს ითხოვს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. იორდანიის დედაქალაქი; 2. რაიმეს სპეციალურად შერჩეული ნაკრები, ნარევი; 4. მრგვალი გუმბათოვანი ნაგებობა პარკებში; 5. მხარე ავსტრიაში; 6. მწვანე ფერის ძვირფასი ქვა; 7. რომელიმე ენის კილოკავი; 10. კათოლიკური ჯვარი; 13. ბანქოს სათამაშო მაგიდა; 16. თაფლიანი ფიჭა; 17. მუნჯი კინოს კომიკოსი; 18. მეზღვაურთა, მეთევზეთა მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 19. პორტუგალიური შემაგრებული ღვინო; 21. ფინელი სატირიკოსი მწერალი.

თარაზულად: 3. ოპერა „აიდას“ პერსონაჟი; 8. პოპულარული ტყე-პარკი პარიზში; 9. ქვეწარმავლების სადგომი ზოოპარკში; 11. მძიმე თხევად საწვავზე მომუშავე შიგაწვის ძრავა; 12. ხარებთან ორთაბრძოლა; 14. გემის ტვირთმზიდაობა; 15. რიცხვის მეასედი ნაწილი; 20. მზეზე გამშრალი მოდუღებული ტყემლის თხელი ფენა; 22. მედიცინის ერთ-ერთი დარგი; 23. უკრაინის პარლამენტი; 24. მონაკოს მმართველთა საგვარეულო დინასტია; 25. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი – კომიკოსი; 26. უღრანი, ტროპიკული ტყე; 27. აღმოსავლური ტკბილეული.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა